**ადმინისტრაციაში** შედის - საქმისმწარმოებელი, ექიმი (ვაკანტურია), ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი 2, დარაჯი 2,
**პედაგოგიური პერსონალი შედგება** - 20 მასწავლებლისაგან 5 წამყვანია, 14 უფროსი და ერთი მოწვეული, ასევე 1 სპეციალური მასწავლებელი.

სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგობრივი კათედრა:

- სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;
- მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ჭადრაკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების და აღცევიტი საგნის კომპიუტერული მეცნიერებების მასწავლებლები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა,ფიზიკის და არჩევითი საგნის სამედიცინო ბიოლოგიის მასწავლებლები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების პროექტის მასწავლებლები;
- უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენის, მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) და არჩევითი საგნის უცხოური ენა (გერმანული ენის) მასწავლებლები;
- ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები;
- ვიზიტის დროს გამოიკვეტა, რომ კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.

**სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.** აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.
კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით-„ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“, შინაგანაწესით და ხელშეკრულებით.
ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.
წარმოდგენილი დოკუმენტით: სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას. ფინანსურ პოლიტიკას უზრუნველყოფს სკოლის ბუღალტერი, რომლის ფუნქციები დარეგულირებულია ხელშეკრულებით, მასვე ევალება სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელების მიზნით შეასრულოს შესაბამისი მოქმედებები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ჯანმრთელობის დაცვას უნდა უზრუნველყოფს სკოლის ექიმი, თუმცა ამ დროისთვის ადგილი ვაკანტურია, სკოლას არ გამოუცხადებია ვაკანტურ ადგილზე კონკურსი.** კლასის დამრიგებლები სკოლაში ცხადდებიან სადამრიგებლო კლასის გაკვეთილების დაწყებამდე და რჩებიან მათი გაკვეთილების დამთავრებამდე, სკოლას აქვს მორიგეობის განრიგი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი.
- თვითმართველობის დებულება.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- კათედრის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მ.შ-ის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით N2/48 რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ღირებულებებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას, კადრების მოზიდვა და შერჩევა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები.

პერსონალის მართვის პროცედურები გაწერილია შინაგანაწესშიც (დამტკიცებულია 2022 წლის 7 ოქტომბერს სამეურვეო საბჭოს მიერ), რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები, რომელიც გულისხმობს ნაბიჯებს, როგორ უნდა მოიქცეს სკოლა ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დირექტორის ბრძანებით (2020 წლის 19 ნოემბრის ბრძანება N1კ-09 შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული მხარდაჭერა.

ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. იგი ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მონაწილეობს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებების დადგენაში და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს.
ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ შემდეგ ვალდებულებებს:
ა) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებულ აქტივობებში.
ბ) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში;
გ) მონაწილეობას იღებენ თავიანთი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში;
დ) მონაწილეობენ თავიანთი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ შეფასებაში;
ე) მოთხოვნის შემთხვევაში, პირადად აცნობებენ მასწავლებელს ხარისხის ჯგუფის რეკომენდაციებს და აძლევენ მას ყველა საჭირო განმარტებას.
სკოლის დირექტორის მ.შ-ის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით N2-45 დამტკიცებულია სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმი, რომლის მე-6 მუხლი არეგულირებს ადამიანური რესურსების შეფასების მექანიზმს, ხოლო მე-7 მუხლი -ადამიანური რესურსების გაუმჯობესებას.
სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, რომელშიც ინახება არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები, მათ შორის რეფლექსიები, მასწავლებელთა თვითშეფასებისათვის რესურსები.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მართალია, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესს, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნებს. გარდა მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შევსებისა, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის ვაკანტურ ადგილზე კადრის აყვანის მექანიზმი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა ცდილობს, არსებობის შემთხვევაში ვაკანსია შეავსოს შიდა კონკურსის საშუალებით, მაგრამ თუ ამისი საშუალება არაა, სკოლა აცხადებს ღია კონკურსს. სკოლის ინფორმაციით გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის.სკოლას ჰყავს 2 უსტატუსო მასწავლებელი მოწვეული მასწავლებლის სტატუსით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შესახებ ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. **სკოლას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მხოლოდ პედაგოგის მიმართ წარმოდგენილ მოთხოვნებს. სკოლას შეიძლება ვურჩიოთ, შექმნას პერსონალის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი.**

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში არის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა **სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 28 თანამშრომელი, ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. სკოლას ჰყავს 2 უსტატუსო მასწავლებელი, მოწვეულის სტატუსით.
მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს.მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
**სკოლას 2023 წლის 1 სექტემბრის N5-02 ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს ბიბლიოთეკარად სტუდენტი 1 წლის ვადით. რადგან სკოლას არ აქვს გაწერილი ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვერ დგინდება, რამდენად შეესაბამება კადრის განათლებასა დაკავებულ თანამდებობას.**
სკოლას არ ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი, ჰყავს 2 მოწვეული მასწავლებელი.
სკოლას პერსონალის ფუნქცია- მოვალეობებთან ერთად გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები მხოლოდ მასწავლებლებისათვის.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კატედრის წევრთა შორის შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს.
სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი, სპეციალური პედაგოგი. ჯგუფების მიერ შემუშავებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა განხორციელების პროცესი მოითხოვს თანამშრომლობით კულტურას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემის პრაქტიკა . სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2022 წლის 20 აპრილის ბრძანება N1კ-10, რომელიც შეეხება სკოლის თანამშრომელთა ფულად დაჯილდოებას აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- შინაგანაწესი
- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები,
- ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმები,

- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 აპრილის ბრძანება N1კ-10,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან

- შეფასება:

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (2020 წლის 19 სექტემბერი N1კ-90) შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში.სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლების ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრების მასალები.

   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების მექანიზმი (დირექტორის მ.შ-ის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანება N2-45), რომლის მე-6 მუხლი გულისხმობს ადამიანური რესურსების შეფასებას, მე-7 მუხლი კი ადამიანური რესურსების გაუმჯობესებას.

   სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-14 თავია შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის შეფასება. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. გამოვლენა, ძირითადად ხდება დაკვირვებისა და ანალიზის საშუალებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე გეგმაზომიერად. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები;). ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა,რომელიც ეხება როგორც მასწავლებლებს, ასევე პერსონალსაც.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა".დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი.სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზეც.
სკოლამ საკუთარი სახსრებით დააფინანსა ბუღალტრის ტრენინგი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. ვიზიტის დროს თვალშისაცემად გამოიკვეთა, რომ სკოლა ყველანაირად ცდილობს, სკოლაში შექმნას თანამშრომლობაზე აგებული მეგობრული გარემო. სწორედ თანამშრომლობითი გარემოში ხელს უწყობს მასწავლებელთა ინტეგრაციას. ადამიანური ურთიერთობები და სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია თანხვედრაში ერთმანეთთან,რაც დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით.
სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შექმნილი აქვს სკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ,(ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი), რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, კერძოდ, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს მე-8 მუხლი-მოტივაცია.
სკოლაში მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომლის ინიციატორები ხშირად სწორედ მასწავლებლები არიან. ასეთი აქტივობები არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც განვითარების საშუალებაა.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2023 წლის 11 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- ბუღალტრის ტრენინგის შესახებ ხელშეკრულება;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფას, მისი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.
ზემოაღნიშნული დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტში გაწერილის აქვს სხვადასხვა დოლუმენტში, მათ შორის სკოლის წესდებასა და შინაგანაწესში. სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება N2-64 , რომლის დანართით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდა გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს:ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული მშობელთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი. თუმცა, სკოლას მოსწავლის მშობლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;

- შინაგანაწესი;
- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება N2-64;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.-ის 2023 წლის 4 სექტემბრის ბრძანებით N2-40 დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „თანამდებობრივი ინსტრუქციები“, რომელიც უზრუნველყოფს მართვის პროცესის გამართულობას და მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობა დადასტურებული აქვთ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს ხელმოწერით.

**სასურველია, სკოლას ჩამოყალიბებული ჰქონდეს თანამშრომელთა, მოსწავლის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესი.**

კლასის ხელმძღვანელებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სისტემატურად აწვდის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სხვადასხვა ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ, რისთვისაც იყენებენ მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრას, სატელეფონო ზარს, ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას. მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სადაც რომელშიც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად რესურსცენტრის მიერ განსაზღვული პირი მონაწილეობს გარკვეული საკითხების განხილვაში. სამეურვეო საბჭოში არჩეულია სამი მშობელი-დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურიდან. ორი მშობელი არჩეულია დისციპლინურ კომიტეტშიც. მრჩეველთა საბჭოში ასევე არის რესურსცენტრის წარმომადგენელი . გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დანიშნულია ერთი წევრი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამრიგებლის პორტფოლიო
- ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების შექმნის შესახებ
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- მშობელთა კრების ოქმი
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიასთან, გამყოფ ხაზთან ახლოს. სკოლის ინფრასტრუქტურა, ასევე ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას არ ემსახურება მანდატური, მაგრამ განსაზღვრული ჰყავს სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის 2022 წლის 4 სექტემბრის ბრძანება N2-40). სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. ორგანიზებულია მორიგეობა წინასწარ შემუშავებული განრიგის მიხედვით. სკოლას, ასევე, სკოლის დირექტორის 2016 11 ოქტომბრის ბრძანებით, N2-59 დამტკიცებულია აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. მოსწავლეები მუდმივად არიან მეთვალყურების ქვეშ, როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში, რომელიც სემოსაზღვრულია მესრით. შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ვიზუალური დათვალიერებით, შენობაში ნაწილობრივ დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. სახელმწიფო საქვემაუწყებლო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური/ ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების მიწერილობის მიხედვით სამუშაოების სესრულების ვადა დარღვეულია. **შენობაში დამონტაჟებულია არა საავარიო განათება.** სკოლის დირექტორის მ.შ. განმარტებით, სკოლას შემუშავებული აქვს პროექტი, რომელიც უნდა გადაიგზავნოს დასაფინანსებლად ინფრასტრუქტურის სააგენტოში (2023 წლის 2 მარტის კორეპოდენცია MES 7 23 0000312740). ორივე სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. პირველიდან და მეორე სართულეზე ასასვლელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კიბეზე სახანძრო სტენდი. ყველა სართულზე განთავსებულია 2-2 ცეცხლმაქრი, სკოლას აქვს საევაკუაციო კიბე და სათადარიგო გასასვლელი. **სკოლას არ აქვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.**

სკოლაში სხვადასხვა ლოკაციაზე მორიგეობენ მასწავლებლები, სკოლამ წარმოადგინა **საგანგებო მართვის გეგმა,მაგრამ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან არ არის შეთანხმებული.**
**სკოლას არ აქვს საშუალება კვალიფიციური პირველადი დახმარებით უზრუნველყოფს მოსწავლე, რადგან სკოლას არ ჰყავს ექიმი, სკოლას არ აქვს სამედიცინო კაბინეტი.** დირექტორის კაბინეტში, სადაც ასევე მუშაობენ საქმეთა მმართველი და ბუღალტერი, განთავსებულია პირველადი დახმარების კარადა. სკოლას არ აქვს სამედიცინო კაბინეტი და არც ფართია, სადაც მოახერხებენ სამედიცინო ოთხის მოწყობას. სკოლას აქვს კომუნიკაცია ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ალტერნატიული გადაწყვეტიკების მისაღებად (2022 წლის 7 ოქტომბრის კორესპოდენცია MES 3 22 0001250565).
სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო.სკოლას სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112" -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

**სკოლას არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის შენობის მდგრადობას,** თუმცა, სკოლის დირექტორის მ.შ-ის განმარტებით, სკოლის შენობა ექსპლუატაციასი შევიდა 2017 წელს.
**სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2024 წლის 1 მარტამდე ).

ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობების დამტკიცების შესახებ" №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. კლასის დამრიგებელთა განმარტებით, რეგულარულად იმართება ძალადობის მიმართ პრევენციული ღონისძიებები, რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დაცულია სანიტარული ნორმები, რასაც უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი. დასუფთავებული და მოწესრიგებულია სკოლის შიდა და გარე ფართი. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს, განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლა უზრუნველყოფილია სასმელი და ტექნიკური წლით, რომლითაც მარაგდება სკოლის ეზოში განთავსებული სველი წერტილები. სკოლის ეზოში მოწყობილი ჭაბურღილი აწვდის წყალს სველ წერტილებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის ბრძანებით N2-21 დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა

დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. 2021 წლის 16 თებერვლის ბრძანებით N 2-03 დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი). სკოლის სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზეც ასევე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: eSchool , Eflow-ს პლატფორმები, ელექტრონული ჟურნალი. ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრება და შეფასებები.

სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს

ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).

სკოლის შესასვლელში ხორციელდება ვიზიტორების მონაცემების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში არსებული დოკუმენტაციისთვის გამოყოფილია სპეციალური კარადა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა იყენებს დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალებს. სკოლას აქვს საკუთარი არქივი, დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი ინახება არქივისათვის გამოყოფილ ოთახში. ყველა დოკუმენტის, რომელთა ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული, უსაფრთხო დაცვა უზრუნველყოფილია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ბრძანება სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ;
- ბრძანებით N 2-03 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესხაებ;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- ბრძანების დანართი „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით შიდა ინსტრუქცია“
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2023 წლის 2 მარტის კორეპოდენცია MES 7 23 0000312740;
- 2022 წლის 7 ოქტომბრის კორესპოდენცია MES 3 22 0001250565;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სოფელ ატოცის საჯარო სკოლა (საკადასტრო კოდი: 68.01.42.100) მდებარეობს ქარელის მონიციპალიტეტის სოფელ ატოცში საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერტორიაზე, განთავსებულია 1128.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, არის მაღალმთიანი სოფელი. შენობა აშენებულია 1949 წელს, შენობა სკოლას გადაეცა 1957 წლიდან, შენობა არატიპიური იყო. 2016 წელს მოხდა სკოლის შენობის გამაგრება - რეკოსტრუნქცია, გადაგეგმარება - გადაიარაღება და სრული რეაბილიტაცია. შენობა ორსართულიანია, I სართულის ფართია 230 კვ.მ, მეორე სართულისა -232 კვ.მ, გათვლილია 90 მოსწავლეზე. აღჭურვილია: საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლას აქვს საკუთარი ჭაბურღილი, უწყვეტი წყალმომარაგებით, ცენტრალური გათბობით ბუნებრივ აირზე, უწყვეტი დენით, საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული დენის წყაროებით (დენის გენერატორები).
სკოლამ წარმოადგინა 2015 წლის საჯარო რეესტრის ამონაწერი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, შენობის შიდა აზომვითი ნახაზი. **სასურველია, სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი.** სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს.ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **52 მოსწავლე.** საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება

ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. **სკოლას არ აქვს რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სააქტო დარბაზი, კვების ობიექტი.** სპორტული დარბაზი (სპორტული აქტივობებისათვის გამოყენებულია 19კვ.მ ფართის ოთახი. პირველ სართულზე არის ადმინისტრაციის ოთახი, სამასწავლებლო, რომელშიც განთავსებულია 11 ლეპტოპი და გამოიყენება გაზიარებულ სივრცედ. საკლასო ოთახები და სხვა დამხმარე სივრცეები. მეორე სართულზე არის ბიბლიოთეკა, რომელიც ასევე გამოიყენება, როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 6 კომპიუტერით (სკოლას მიეწოდება ინტერნეტი) და საკლასო ოთახები. სველი წერტილები, განთავსებულია სკოლის ეზოში, რომლებიც ადაპტირებულია. სკოლას აქვს სათანადოდ მოწყობილი პანდუსი შესასვლელში, თუმცა შენობა არაა ადაპტირებული შშმ პირთათვის.

სკოლას მეორე სართულზე აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელშიც არა ხელსაბანი, რადგან სკოლის შენობაში საერთოდ არა წყალი. სკოლას მიეცა რჩევა გამართოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სკოლის ბალანსზე ირიცხება 8 პერსონალური კომპიუტერი, 4 მუშა მდგომარეობაში, 11 ლეპტოპი. 8 ლეპტოპი მუშა მდგომარეობაშია 3 ნაწილობრივ. 2 პროექტორი, 5 პრინტერი, აქედან 3 მუშა მდგომარეობაში, ფოტოაპარატი 2, ფოტო კამერა 1, გენერატორი 1, მარშუტიზატორი 1.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2024 წლის 1 მარტამდე ).**

**ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2.სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. რადგან სკოლას ამ დროისათვის არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე, ამჟამად ყველა მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, ორივე სართულზე მოწყობილი სივრცეებით, აღნიშნული სივრცეები სრულყოფილადაა მოწესრიგებული და დაცულია ჰიგიენის ნორმები. შემუშავებულია ბიბლიოთეკით, რომელშიც ინახებამხატვრული ლიტერატურის 508 ეგზემპლარი და 985 სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება,

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. შენობა არის ახლადაშენებული და აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საპირფარეშოები, მდებარეობს სკოლის ეზოში და ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. **სკოლას არ აქვს რესურსოთახი,** სკოლაში არის გათბობის ცენტრალიზებული სისტემა, სკოლა მარაგდება წყლით და ელექტროენერგიით. სკოლას აქვს თანამედროვე საკანალიზაციო სისტემაც. სკოლის ეზო სრულყოფილადაა მოწესრიგებული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ბიბლიოთეკას და სპორტულ მოედანს სკოლის ეზოში, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. სკოლას აქვს პროექტორები და დიდი მონიტორი, რომლებსაც პედაგოგები ინტენსიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. სკოლა ფლობს მუსიკალური ცენტრს და ცალ პრინტერს, რომლებიც თავისუფლადაა ხელმისაწვდომი

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. .მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს.
სკოლას მიეცა რჩევა შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2015 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძნება სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ ,
- ბიბლიოთეკის დებულება,
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

#### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა საშუალებას, აზრუნველყოს ადამიანური და სასწავლო პროცესი სრულფასოვნად. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა. სკოლას აქვს 8 პერსონალური კომპიუტერი, 11 ლეპტოპი, 2 პროექტორი, 5 პრინტერი, 2 ფოტოაპარატი, 1 ფოტოკამერა. ადმინისტრაციასა და სამასწავლებლოში დგას 2 კომპიუტერი და ლეპტოპები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა პედაგოგისათვის, 1 პროექტორი. ბიბლიოთეკა - კომპიუტერულ ლაბორატორიაში დგას 5 კომპიუტერი, 1 პროექტორი ეკრანით, 1 პრინტერი. ბიბლიოთეკა-კომპიუტერულ ლაბორატორია არის საზიარო სივრცე მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მუშაობისათვის. სკოლას აქვს უწყვეტი საკაბელო ინტერნეტი, რომელიც მოეწოდება 19MBPS -ით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მიღება ჩაბარების აქტები,*
- *ინვენტარიზაციის მასალები,*
- *ვიზუალური დათვალიერება*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საქმისწარმოება. სკოლს განცხადების მიღების წესი გაწერილი აქვს დოკუმენტში: „სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების მიღების წესში“, ასევე, სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 სექტემბრის ბრძანებით N2/41 დამტკიცებულია სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი. ელეტრონულ სისტემაში სისტემატურად ხდება დოკუმენტაციის აღრიცხვა. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც მუდმივად აწარმოებს დოკუმენტაციის აღრიცხვას, მოწესრიგებას, კოორდინირებას უწევს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზებას, ინფორმაციის გაცემას. დოკუმენტები რეგისტრირდება იმავე დღესვე. შემოსულ განცხადებაზე რეაგირება ხდება საჭიროებისამებრ ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ ვადებში, შემოსული და გასული დოკუმენტაცია ინახება ელექტრონულად, ზოგი-მატერიალურად. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები ტარდება სპეციალურად განსაზღვრულ მატერიალურ ჟურნალში. გასული წლების დოკუმენტაცია ინახება სპეცაილურად გამოყოფილ სივრცეში, რადგან არქივისათვის დოკუმენტაცია არაა გადაცემული.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა.

ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: Atotsi@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(Eschool.emis.ge), სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელშიც ასახულია სკოლის ბარათი, პესონალის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, მოსწავლეთა გადანაწილება კლასებში, საგაკვეთილო ცხრილები, საშტატო განრიგი, არჩეული სახელმძღვანელოები და ა.შ. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია, ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სამეურვეო საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. ყოველწლიურად სკოლა 10 დეკემბრამდე წარუდგენს ანგარიშებს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ- მინისტრს და საქართველოს პარლამენტს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების მიღების წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 სექტემბრის ბრძანებით N2/41 დამტკიცებული სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი,
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- ანგარიში საქართველოს პრემიერმინისტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს.
- ვიზუალური დათვალიერება

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შეიქმნა ერთიანი სივრცე, სადაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება,თუმცა ჯერჯერობით სკოლას არ გამოუყენებია აღნიშნული სივრცე. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/skola.atoci,
**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 30 დეკემბრამდე ).**
**ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2. სკოლას აქვს ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **სასურველია, სოიალურ ქსელში სკოლის ოფიციალურ კედელზე ინფორმაციის განთავსებისათვის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს უფლებამოსილი პირი.**
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას არ აქვს ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებული. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სკოლის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმებელი პირი და ინფორმაცია განათავსონ სკოლის ვებგვერდზე.** ფეისბუქგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 30 დეკემბრამდე ).**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

5.სკოლას არ აქვს ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებული.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 30 დეკემბრამდე ).**

**ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი https://www.facebook.com/skola.atoci,
- ვებგვერდი- https://skolebi.emis.ge/schools/2426?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლას აქვს სათანადო წესით დამტკიცებული ბიუჯეტი, სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანებით N2-47. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებასა და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, სკოლას არ აქვს სხვა შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N2-47.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 4.მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლა ყველაფერს აკეთებს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში, შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესში ცალკე მუხლებადაა გამოყოფილი მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი (მუხლი 11); მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები (მუხლი 12). სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით N2-37 დამტკიცებული აქვს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ასევე, დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით N2-65 დამტკიცებულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი. დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით N2-60 დამტკიცებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატულის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
სკოლას არ ჰყავს მსწავლე, რომელსაც შეუჩერდა მოსწავლის აქტიური სტატუსი. სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (სკოლას ცალკე დოკუმენტადაც აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი), საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით.
მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე შინაგანაწესის გაცნობა დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტა და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, შინაგანაწესის გაცნობას,მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022/23 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით N2-37 დამტკიცებული „სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით N2-65 დამტკიცებული „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი“;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით N2-60 დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატულის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“,
- ვიზუალური დათვალიერება

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით" ( საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017). ასევე, სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით N2-60 დამტკიცებულია „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატულის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი". მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი . მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას.მოსწავლეებს აქვთ საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის არჩევის შესაძლებლობა. როგორც მეორე უცხო ენის, ისე არჩევითი საგნების არჩევის დროს დგება ოქმი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეში არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;
- Eschool-ის ბაზა;
- მშობელთა კრების ოქმი (მეორე უცხოური ენის არჩევა);
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით N2-60 დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი".

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით N2-37 დამტკიცებული აქვს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა , აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, სკოლაში რესურს ოთახის ფუნქციით გამოიყენება ბიბლიოთეკა, სადაც მოსწავლესთან, განრიგის შესაბამისად, ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მოსწავლის განტვირთვის და დასვენების მიზნით. სსსმ მოსწავლესთან (სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე) მულტიდისციპლინური

გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. უნდა ითქვას, რომ სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა მცირეკონტინგენტიანია, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N2/61 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში ჩართულია მშობელი, მათ აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, დამრიგებელი ატყობინებს მშობელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. სპეციალური მასწავლებელი აქტურად თანამშრომლობს ცალკეული საგნის პედაგოგთან სსსმ მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმრთველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების ლუბი „ახალი თაობა", რომელიც აქტიურად ახორციელებს სკოლის დირექციისაგან და პედაგოგებისაგან მხარდაჭერილ ინციატივებს, მაგალიტად: „დისკუსია ქალთა უფლებების შესახებ", პროექტი "ბიოდიზელი" (განმახორციელებელი-მე-11 კლასის მოსწავლეები),სკოლაში ტრადიციულადაა ინტელექტუალური თამაშები („ტვინების ბრძოლა"), რომლებიც მოსწავლეთა განვითარებას ემსახურება. აღნიშნულ აქტივობებს ხელმძღვანელობენ მასწავლებლები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. აქტივობები, რომლებიც სკოლაში იმართება, ძირითადად მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აზრთა გაზიარებისა და შეთანხმების შედეგად ხორციელდება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა,
- შინაგანაწესი,
- განხორციელებული პროექტები,
- თვითმმართველობის დებულება,
- სამოქალაქო კლუბის დებულება,
- დამრიგებლის მუშაობის დებულება,
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით N2-37 დამტკიცებული სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N2/61 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოსწავლეთა პროფესიული გზის განვითარებაზე დამრიგებლები ატარებენ კლასის საათის ფარგლებში. განსაკუთრებით აუცილებლობად თვლის სკოლა, მსგავსი საუბრები ჩაატაროს მე-9 და მე-12 კლასელებთან. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ქარელის მუნიციპალიტეტის კოლეჯ „განთიადთან“, რომლის წარმომადგენლები სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან პროფესიული ორიენტაციის პროგრამის ფარგლებში სტილისტის პროფესიას.

სკოლის მოსწავლეების იმყოფებოდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში. სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა.სკოლას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით (გამოკითხვა, ინტერვიუ, ) მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი
- განხორციელებული პროექტები
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

**4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი. მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. ბიბლიოთეკაში, რომელიც რესურსოთახის ფუნქციითაც გამოიყენება გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით , სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ზრუნვს კლასის დამრიგებელი, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი შეხვედრას მართავს სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ, შეხვედრების მიზანია მოსწავლის მიღწევებზე საუბარი და ახალი საჭიროებების დადგენა, აქედან გამომდინარე, ისგ-ს ცვლილება. ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ისგ გეგმები
- შიდამონიტორინგის დასკვნა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა

**4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლაში სწავლობენ ახლომდებარე სკოლების მოსწავლეები. განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლას მიეწოდება სასკოლო ტრანსპორტით მომსახურეობის სერვისი, რომელსაც ხორციელდება ქარელის მუნიციპალიტეტის ფინანსებით. მაგრამ სკოლა უზრუნველყოფს მონიტორინგს სასკოლო ტრანსპორტში მოსწავლეების უსაფრთხოდ გადაადგილებისა და სერვისის სრულყოფილად მიწოდების შესახებ, საამისოდ სკოლას დირექტორის 2017 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით N2-71 განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება ყოველდღიურად მოახდინოს შესრულებული სატრანსპორტო მომსახურების და ამ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლას ამ ეტაპზე სასკოლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

**ინდიკატორი არ ფასდება.**

3.მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2017 წლის 1 ნოემბრის ბრძანება N2-71 „ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

# დაწყებითი საფეხური

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; აქ ჩანს, თუ რა მექანიზმებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებებით იგებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, თემის ინტერესებს_თანამშრომლობით, კითხვარებით,სოციალური ქსელით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას, რამაც განაპირობა სასკოლო საზოგადოების შეთანხმებული მუშაობა. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების დონე, განიხილება საგნობრივი სტანდარტი კლასების და პროგრამის მიხედვით. მასწავლებლები მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ქმნიდნენ კურიკულუმს, გეგმავდნენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობდნენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის დასანერგად მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები განხორციელდება მატრიცებში გაწერილი აქტივობების გამოყენებით, ასევე მათ მიერ მოხდება დაკვირვება, ჩანაწერების დღიურისა და თვითშეფასების წარმოება, როგორც გაკვეთილების შემდეგ, ასევე, თემის დამთავრების შემდეგ. მასწავლებელები გარდა იმისა, რომ ჩაატარებენ გაკვეთილებს,აღწერენ, კოლეგებსა და მშობლებს გაუზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ასევე სასწავლო თემაზე მუშაობასას მოსწავლეების მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და კომპლექსური დავალებების ბარათების შესახებ. გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის (I—VI კლასები) სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების ადაპტირებული კურიკულუმის შემუშავება.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები , ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.დაწყებით საფეხურზე განსახორციელებელ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები,რომლებშიც ჩანს მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა ნათლად იაზრებს მოსწავლეთა და მშობლების ჩართულობის მნიშვნელობას სასწავლო პროცესში,ითვალისწინებს მშობელთა რეკომენდაციებს. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა,რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა_,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი რომ შემუშავებულია გუნდურად და მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს , ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესშიც, ამასთანავე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრების სამოქმედო გეგმებშიც. პროცესში ჩართულია დირექცია. კოლეგებთან შეხვედრის რეფლექსიებში ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებოდნენ ერთმანეთს და ერთობლივად შეიმუშავეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებული აქტივობები და მოსწავლეთა ინტერესებს აუცილებლად ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში.დამრიგებლების დახმარებით მშობლები ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავებაში, სწავლის დაწყებისთანავე გაიმართა მშობლებთან შეხვედრები და განიხილეს სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებები. მშობლებთან ურთიერთობენ სოციალური ქსელითაც დახურულ ჯგუფებში. გასაუბრებისას პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი მსჯელობენ, რომელი თემის ფარგლებში შეძლეს შუალედურ მიზნად კომპლექსური დავალების შესრულება, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს, რომლებიც წარმოადგინეს მასწავლებლებმა პირისპირ ინტერვიუს დროს. ხაზგასასმელია, რომ ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც სრულყვეს მიმდინარე სასწავლო წლის სექტემბრისთვის.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. დაწყებითი საფეხურზე კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭვდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს,როგორ ურთიერთობენ მშობლებთან სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში,უგზავნიან საპროექტო იდეებს, დავალებებს,ღონისძიებების გეგმებს და აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმის შესახებ.სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.დამატებით 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ, შეიქმნას ისეთი სივრცე, სადაც განთავსდება ყველა დოკუმენტი და ყველას ექნება მათი ნახვისა და გაცნობის შესაძლებლობა, ასეთ სივრცედ სკოლის დირექცია მოიაზრებს „onedrive"-ის ონლაინ პლატფორმას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ
- თვითშეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობლის ბარათები

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრამ წარმოადგინა 1-6 კლასის კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული

სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალებები; კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, კურიკულუმების ჩარჩოები ძირითადად აგებულია მოწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლების მიერ სასწავლო წლისათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, მათი ინტერესები და ასაკობრივი შესაძლებლობები. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა კარგად ჩამოაყალიბეს სამომავლო ხედვები, კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები ჩაშალეს დეტალურად და წარმოადგინეს როგორც მოსწავლის განვითარების გზა.

ინტერვიუს დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოარგონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და დააკავშირონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის აგების პროცესში.

**მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა_ სასურველია კურიკულუმში მიუთითოთ, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების სახელწოდება, ავტორი. სასურველია მეტად მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გაწერა თითოეული თემის სწავლების ფარგლებში, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევაში.**
*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები- გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობრივი ნაწილია. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული შინაარსის დავალებები ხელს უწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული აქტივობების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ყოველთვის უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. **თუმცა, ესთეტიკური მიმართულებით მიეცათ რჩევა, სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის I და II კლასის კურიკულუმებში გაწერილი თემატური ბლოკები ჩაასწორდეს ისე, რომ თითოეულ თემატურ ბლოკში დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე სამიზნე ცნება.**
*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლის დოკუმენტაციაში, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ასევე, ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ დაწყებით კლასებში განხორციელებული დიაგნოსტიკური ტესტირება საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა თუ ინდივიდუალური პროფილები.სკოლის მიერ მოწოდებული ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებით და ისგ ჯგუფის ოქმებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს აღნიშნული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის როგორც ფიზიკურ ასევე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან, სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, თითოეული მასწავლებელი დაკვირვების შედეგად გამოკვეთს მათ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და ამის მიხედვით სთავაზობს სხვადასხვა სახის რესურსსა თუ აქტივობას, მაგალითად, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საჭირო გახდა კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე აქტივობის დიფერენცირება, მოსწავლის სწავლის პოტენციალის გათვალისწინებით. წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს ცალკე, იზოლირებულად გამოყოფილი სასწავლო ოთახი სსსმ მოსწავლისთვის.
სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, რაც თითოეულ მასწავლებელს აძლევს საშუალებას დაკვირვების შედეგად გამოკვეთოს მათი შესაძლებლობები, საჭიროებები და ამის მიხედვით შესთავაზოს სხვადასხვა სახის რესურსი თუ აქტივობა.მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალების შესრულებისას სასურველი ფორმატით წარმოადგინონ პროდუქტი. სკოლა გამოხატავს მზაობას 2023- 2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში მეტად გაითვალისწინონ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რათა სწავლა-სწავლების პროცესებში ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული.

**ამიტომ მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა : მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.**

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლას, შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესაფასებლად. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს შეფასების რუბრიკები როგორც სოლო ტაქსონომიის მიხედვით, ასევე ჰოლისტური შეფასებები.დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება.სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი,ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა , სასწავლო წლის განმავლობაში დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დადგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე არის გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის. თუმცა სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეული თემის ფარგლებში მოდევნო სასწავლო წლისათვის შექმნიან ყველა შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით- კათედრის,დამრიგებლების,მასწავლებლის თვითშეფასების, შეიძლება ვთქვათ,რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.წინა სასწავლო წელს სასკოლო სივრცეში აქტიურად არ იყო დანერგილი კომპლექსური ხასიათის დავალებებით სწავლების ფორმატი, მაგრამ სკოლაში დასაქმებული არიან პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ხედვა, სწორედ ამიტომ მათი ინდივიდუალური დაკვირვების შედეგებია გათვალისწინებული კურიკულუმების ჩამოყალიბებისას, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზისა და მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების გათვალისწინებით შევიდა ცვლილებები 2023-2024 სასწავლო წლისთვის ჩამოყალიბებულ კურიკულუმებში, რაც წარმოდგენილია მტკიცებულებების სახითაც.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუ
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ისგ ჯგუფის ოქმი
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება ბრძანება
- სასკოლო- სასწავლო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მოწოდებულია ყველა კლასში, გაწერილია ესგ სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი (საფეხურის შედეგები,ცნებები ) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები). სკოლის მიერ წარმოდგენილ ამ და სხვა დოკუმენტაციასა და სხვადასხვა აქტივობის ამსახველ მასალებზე დაყრდნობით , მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეიძლება ითქვას,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა და მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დავალებები მრავალფეროვანია ფიზიკური აღზრდის მიმართულებით, მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრებები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუნდების სიგელებს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმს ახლავს დანართი თემატური მატრიცების/გეგმების სახით, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებებით ,სკოლის მიერ შეგროვებული მონაცემების (შემაჯამებელი დავალებების,გაკვეთილების) აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით,დავალებების შერჩევის დროს დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა და ინტერესები, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.მაგალითად, სახვითსა და გამოყენებით ხელოვნებაში, პირველ კლასში, განხორციელდა კომპლექსური დავალება ,,ფორმების სამყაროში“, ეს დავალება წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების საუკეთესო ნიმუშია და ამავე დროს საგანთაშორის კავშირსაც მოიაზრებს.მათემატიკის მასწავლებლებმა ისაუბრეს მე-6 კლასში რაციონალური (წილადი, ათწილადი) რიცხვები-თემის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალების, „შოკოლადის ორცხობილის დამზადება“, შესახებ, აღწერეს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები და ისაუბრეს უკვე განხორციელებული აქტივობების შესახებ. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელეს წინარე ცოდნის გააქტიურება. აღინიშნა, რომ ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, შესასვლელი ბარათები, მარტივი „ქვიზი“, კითხვა-პასუხი.

სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ,კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ დავალებებზე, რაც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, ალგორითმის შექმნასა და მოსაზრებების შეჯერებას, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში, სხვა საგნობრივ დისციპლინაში ცოდნის ტრანსფერის გამოყენების საშუალებას აძლევს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც ინტერვიურების დროსაც გამოიკვეთა.გარდა ამისა, სკოლაში დაწყებით საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს,რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ,ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე , მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5. წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში გაწერილია ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები, აქტივობები, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება-ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა მათემატიკის მიმართულებთ მიეცათ რჩევა,რჩევა: მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ურთიერთდაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები. ასევე ამ მიმართულებით კარგი გამოცდილებაა STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.**

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით)
- საეტაპო აქტივობები
- თემატური მატრიცები/გეგმები;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველი იქნებოდა, კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემაში წარმოჩენილიყო საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, თუმცა მასწავლებლების განმარტება, რომ ამ ეტაპზე სამიზნე ცნებებთან მიმართება მხოლოდ იქ აჩვენეს, სადაც საბოლოო დავალებაც შეარჩიეს და განაგრძობენ კურიკულუმის სრულყოფას ამ მიმართულებით.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში შესასწავლი თემები და საგნობრივი საკითხები შერჩეულია ისე, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მასწავლებლების თქმით, მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული თემების განხილვა, ფიქრობენ, რომ ეს პრინციპი წარმოჩენილია მათ კურიკულუმში. თემები-თანატოლების ცხოვრება, ამეტყველებული ბუნება, მეგობრობა, წყლის დაბინძურება და მისი შედეგები, შტორმისა და წყალდიდობის დროს უსაფრთხო ქცევა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, პირადი ჰიგიენის დაცვა და დაავადებების თავიდან აცილება და ა.შ. მშობლიური გარემო-მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტებია, შეუძლიათ პირად მაგალითებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით წარმოიდგინონ, გაიაზრონ. მოსწავლეები ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ სკოლა ტრადიციულ საქმიანობად განიხილავს პროექტებით სწავლებას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს მოსწავლის მხრიდან პროდუქტის შექმნას და მუშაობის პროცესში თანამშრომლობითი კულტურის გამოვლენას. მოსწავლეს უვითარდება თვითრეფლექსიის უნარი, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარების წინაპირობაა. საგნობრივ კურიკულუმებს და სადამრიგებლო პროგრამებს ადგენენ იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანასწორუფლებიანი გარემო. როგორც აღნიშნეს ინტერვიუში,ნებისმიერი საგნის სწავლების პროცესში შესაძლებელია ისეთი კითხვების გააქტიურება, რომლებიც თვითცნობიერებისა და თვითრეგულაციის უნარებს განუვითარებს და დააფიქრებს მოსწავლეებს. ასევე საჭიროა უფრო მეტ არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვა, რასაც მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ. ფიზიკური აღზრდის მიმართულებით სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ. ეს ყველაფერი კომპლექსურ დავალებებშია გაწერილი, მითითებულია მასალების ჰიპერლინკებიც.საკლასო აქტივობები და დავალებები ისეა დაგეგმილი და ორგანიზებული,რომ ხელს უწყობს და ზრდის მოსწავლეთა შორის ურთიერთნდობას, ურთიერთდახმარებას, მხარდაჭერას და ურთიერთგაზიარებას, ეს კი ეხმარება განსხვავებულობის მიღებაში, პატივისცემაზე დაფუძნებული ცოდნისა და უნარების ათვისებაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული იქნებიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, მონაწილეობას მიიღებენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საგნის მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად “მოსწავლეთა საკლასო მუშაობის ანალიტიკური რუბრიკა” - რომელიც გაზიარებულია კათედრებს შორის . პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. ამას საფუძვლად უდევს დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, მოსწავლეთა დავალებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით. მასწავლებლები გეგმავენ,რომ მიმდინარე სასწავლო წელს შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიეცათ რჩევა კათედრის წევრებს, რომ სწავლების პროცესში შეიმუშაონ დაკვირების დღიურები, ცდის ან ექსპერიმენტის ოქმები, რაც მოსწავლეებს განუვითარებს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარებს.**

**მათემატიკის** მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღინიშნეს, რომ კათედრა გეგმავს 2023-2324 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის დანერგვას.ეროვნული სასწავლო გეგმა შეფასების აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). შეფასება უნდა იყოს განუყოფელი ნაწილი მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო პროცესის; ორიენტირებული უნდა იყოს მისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე. **მოსწავლეები თვითონაც აქტიურად უნდა ჩაერთონ შეფასების პროცესში (კრიტერიუმების განხილვა, თანატოლთა შეფასება, თვითშეფასება...) შეფასების ინსტრუმენტები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული , რათა დაეხმაროს მათ განივითარონ ცოდნა და ცხოვრებისეული უნარები. შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებული ანალიზს, გამოავლინოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და მისცეს მოსწავლეს კონსტრუქციული უკუკავშირი,ამიტომ მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა, შექმნან და სწავლა/სწავლებისას გამოიყენონ მრავალფეროვანი და მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტები.**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მოსწავლეთა შეფასება არის ვალიდური, სანდო და გამჭირვალე. ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში განმავითარებელი კომენტარებით და უკუკავშირებით, რომლებითაც დასტურდება რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის,მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. კათედრა მზადაა,რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა.**უცხოური ენების მიმართულებით მიეცათ რჩევა_ კარგი იქნება, სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლეთა თვითრეფლექსიისა თუ ურთიერთშეფასების რუბრიკებიც, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მეტად განვითარებას.**

მათემატიკის კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ მათ იციან, რა მექანიზმებით ხდება შეფასება და როგორ გამოიყენოს მისი შედეგები. მიაჩნიათ, რომ თუ მოსწავლეს არ შეუძლია მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. ფიქრობენ, ეს გასათვალისწინებელია მომავალი სასწავლო წლისთვის დახვეწონ შეფასების რუბრიკებს, სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებთ. დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს უფრო სრულ სურათს წარმოაჩენს, არსებული მიღწევებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

**მათემატიკის მიმართულებით რჩევაა_ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კონცეფცია, მეთოდიკური ორიენტირები და მიდგომები, რათა უზრუნველყოს შეფასების ერთიანი მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. პროცესები გაიწეროს დროში და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.შეფასების სისტემის შედეგიანობას სკოლა ამოწმებს სკოლის ბაზაზე არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის საშუალებით, რომელიც აფასებს, სასწავლო პროცესები რამდენად მიზნობრივია და რამდენად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევაზე. ამ სასწავლო წლისთვის სკოლამ ჩამოაყალიბა ვერიფიკაციის მექანიზმები და წარმოადგინა დოკუმენტის სახით.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

6. სკოლის ავტორიზაციის განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, ინფორმაციის შეგროვებასა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას უზრუნველვყოფთ კანონდებლობით დადგენილი წესით, მაგალითად, ჟურნალები მატერიალური სახით ინახება 5 წლის განმავლობაში, აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუ
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- კურიკულუმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალების სრული ნიმუში (ინსტრუქციით)
- საეტაპო აქტივობები
- თვითშეფასების ფორმა

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებული არის მოსწავლეზე,რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის მთავარი სუბიექტია, აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, მასწავლებელი კი, ფასილიტატორის ფუნქციას ასრულებს, როგორც გასაუბრებიდან გაირკვა სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს,ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების რეფლექსიები, მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს.სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური
და მხარდაჭერაზე ორიენტირებული.მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, წარმატებული მოსწავლის მედლითა თუ სიგელით დაჯილდოვება.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო, მოსწავლე თავს გრძნობს თვითრეალიზებულად, ბუნებრივია მოსწავლეებს ასეთ გარემოში თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღონ შესაბამისი დახმარება .
აგრეთვე, სკოლის მიერ მოწოდებული ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებით და ისგ ჯგუფის ოქმებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს აღნიშნული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას, სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-2024 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას, დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; გასაუბრებიდან გაირკვა რომ,სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. სკოლაში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, სისტემატიურად აკვირდებიან და ინიშნავენ მოსწავლეთა მიღწევებს,რომელთა ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს, სადაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. დირექცია მონაწილეობას იღებს შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში, ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.თანამშრომლობითია სასწავლო პროცესი, მასწავლებლები ახდენენ პერიოდულ გამოკითვებს დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის და მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისთვის,ახდენენ ფორმალური და არაფორმალური პროექტების შემუშავებას. სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რაც ზრდის სკოლის თანამშრომლობით კულტურას. სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, ამის საფუძველია სკოლაში გამართული აქტივობები, დაგეგმილი საკლუბო მუშაობა და ღონისძიებები, რომლებზეც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებასა და გამოცდილების გაზიარებას. ყველა მასწავლებელი თანაბრად მონაწილეობს ერთიან სასწავლო პროცესებში. საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებებს, ტარდება კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები, სიახლეებისა და საინტერესო საკითხების განხილვის მიზნით, ტარდება სამოდელო გაკვეთილები, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, რათა საგაკვეთილო პროცესები დაიხვეწოს და მოსწავლის ინტერესებს მოერგოს. ინფორმაციის გაზიარებისა და კომუნიკაციის ეფექტიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მშობლეთა აქტიური ჩართულობა, რა თქმა უნდა, მათთან ტარდება მშობელთა კრებები, მიეწოდებათ ინფორმაცია საკუთარი შვილების მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებსა და სადამრიგებლო პროგრამებში. სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების ინტერესის გათვალისწინებით. კერძოდ შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, ასევე სკოლის 2023-24 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას გაზრდას, დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსახორციელებელი აქტივობები.თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში,კათედრის სხდომის თუ სამუშაო შეხვედრის ოქმებში,აგრეთვე გასაუბრებისას. კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს, ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს „ კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებლები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და გაძლიერებას. ინტერვიუირებისას, მასწავლებლებმა ისაუბრეს პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებით, შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით ,რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ასევე, პოზიტიური კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ მასალები დოკუმენტაციაში. იქ, სადაც, ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.ასევე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად მიღებულ ცოდნას უზიარებენ კოლეგებს, მაგალითად რომელიმე ტრეინინგზე მიღებული ცოდნის გაზიარება. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებისათვის სასწავლო წლის განმავლობაში იგეგმება და ხორციელდება ისეთი სასწავლო მეთოდი, როგორიცაა მოსწავლეების მაღალი ჩართულობით გამორჩეული აქტივობა სასწავლო ექსკურსია. სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას, ამის მისაღწევად დასახულია კონკრეტული აქტივობები.
***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუ
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროექტი
- 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

2.3.1 **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი დაეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორცილების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას და ამისთვის პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას (შეფასება მოხდება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ), ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული (ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე,სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით, შესაბამისად,სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის

მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, ე.წ. ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმართულია მასწავლებელთა პროფესიული წინსვლის ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით იგეგმება გაკვეთილებზე მიზნობრივი დაკვირვება, რაც მასწავლებლებთან შეთანხმებით ხორციელდება და გამომდინარეობს მასწავლებლის თვითშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებისგან. მხარდამჭერი ჯგუფი ორიენტირებულია განმავითარებელი შეფასების გამოყენებაზე, რათა გაცემული წერილობითი უკუკავშირი ზუსტად ასახავდეს გაკვეთილის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, რაც ჩაშენებულია სსგ-ში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი პრინციპები.

**მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა -სასურველია სკოლამ დასახული მიზნების მისაღწევად პროგრესის თვალყურის დევნებისთვის. მონიტორინგის ერთიანი სისტემის სრულყოფის მიზნით, განსაზღვროს ინდიკატორები. ინდიკატორები უნდა ზომავდეს, როგორც პროცესს, რა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგებს. ცალკეული განსახორციელებელი აქტივობისთვის განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები და გაწეროს დროში.**

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში იკვეთება თანამშრომლობითი კულტურა , მხარდაჭერა და მოსწავლეების და მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ვკითხულობთ ,რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია მასწავლებელთა კვალიფიკაციის აუცილებლობის გამოვლენა, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სწავლების ხარისხის ამაღლება. სკოლა ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე სადაც სხვა ფუნქცია მოვალეობებთან ერთად ჩანს კათედრების როლის გაძლიერება ურთიერთთანამშრომლობაზე ზრუნვის, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრების,სხვადასხვა პროგრამებში,ოლიმპიადებში,კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების,პედაგოგთა შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით. ზოგადად სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა , ღირებულებები, პრიორიტეტები , მოვალეობები, სტრატეგიები, მეთოდები , დასახული აქტივობები და მათზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტები მიმართულია სასკოლო საზოგადოების ზრუნვაზე და დახმარებაზე. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ირკვევა ,რომ მასწავლებლები ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს , აანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე გამოცდილების,ფუნქციების და მოვალეობების გაზიარებით . მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშებიდან და გასაუბრებიდან დადგინდა მოსწავლეთა მხარდაჭერა და განვითარებაზე ზრუნვა ,რადგან იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან სქემებს („შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები",,ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე",თვითშეფასება და სხვა) მათგან უკუკავშირის მისაღებად და მათი ინტერესების, საჭიროებების, შესაძლებლობების დასადგენად რის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნები და მეთოდები. აღწერაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობელმების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება. დაწყებითი საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშზე და გასაუბრებაზე დაყრდნობთ დგინდება კათედრის გამოცდილება სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ დაწყებით საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების სქემებს, კითხვარებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს, რაც პრობლემების, ნაკლოვანებების, სუსტი მხარეების დადგენას უზრუნველყოფს და ეხმარება მათ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ამ პრობლემების დასაძლევად, აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალში.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- მასწავლებლის თვითშეფასების დოკუმენტი
- კათედრის სამუშაო შეხვედრების ოქმები
- შემაჯამებლის ანალიზი
- შეფასების რუბრიკები(განმავითარებელი/განმსაზღვრელი)
- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია ციკლი, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, წინა წლების კურიკულუმების გადახედვას, მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას, კურიკულუმის შემუშავებას და დანერგვის ყველა ეტაპზე ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ინფორმაციის მოპოვება ხდება მათგან მოწოდებული მასალებისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა აღწერს მზაობას,განახორციელოს მრავალფეროვანი აქტივობები (პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სადიაგნოსტიკო წერები, კვლევები...) და მოსწავლეების მიღწევები შეაფასოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით.სტატეგიული განვითარების გეგმაში, SWOT ანალიზის საფუძველზე, განხილულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები.სტრატეგიული განვითარების გეგმაში აგრეთვე ვკითხულობთ ,რომ მოსწავლეთა მიღწევების შესწავლა მოხდება მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით და კლასებში ჩატარდება ანკეტური გამოკითხვები,კვლევები,მოხდება შედეგების გაანალიზება და სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს დამრიგებლების ფუნქცია მოვალეობები ამ კუთხით . სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს მათი აქტიური როლი ამ მიმართულებით და მუშაობის პრინციპები რომელიც ითვალისწინებს აღზრდის მთლიანობას (სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მთავარი პრინციპი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა) გასაუბრებისას მასწავლებლებმა აგრეთვე აღნიშნეს ,რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, მშობლებთან,კოლეგებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და საკითხები (ჩემი დღე, ჩემი საოცნებო სახლი,საყვარელი ცხოველი, ჩვენი ეზო, გარემო სადაც ვხცოვრობთ), რაც თავისთავად მოიაზრებს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას სასწავლო პროცესში.მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა ,რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების დახვეწის,განვითარების პროცესში შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან განმავითარებელ და განმსაზღვრელ რუბრიკებს, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის და მოსწავლეთა შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოხდება სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით. ამ მიზნით გააგრძლებენ მჭიდრო თანამშრომლობას მოსწავლეებთან, დამრიგებლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან.
მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს,რომ შეფასების ჰოლისტური ხასიათი წარმოაჩენს მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის დახმარებით. ამ პროცესზე ფოკუსირებისთვის იყენებენ განმავითარებელი შეფასებას, რის საშუალებითაც აკვირდებიან თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე? სტანდარტით განსაზღვრული მიზნებსა და ისაღწევ შედეგების გათვალისწინებით აძლევენ უკუკავშირს. სამომავლოდ გეგმავენ შეფასების ფორმას მისცენ სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე რასაც ახერხებს მოსწავლეთა ინტერესების, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარების,სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, საზოგადოებრივი და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით .შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა კონტექსტები,ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დაწყებითი საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი სავალდებულო თემები , საკითხები ,კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით მოსწავლის შეფასების უზრუნველყოფას. აგრეთვე დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები როგორიცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები , კვლევები უზრუნველყოფს მრავალფეროვან კონტექსტებზე დაყრდნობით მრავალმხრივ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შემუშავება, გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით. შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში იკვეთება და მასწავლებლებმაც ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს ,რომ იკვლევენ მოსწავლეთა ინტერესებს დაკვირვებით, გასაუბრებით და ითვალისწინებენ სწავლების პროცესში. სკოლის თვითშეფასებიდანაც ირკვევა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მონაცემების შეგროვებისას სკოლა დაეყრდნობა ტიპურ და გამოყენებად მეთოდებს: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება. გარდა ამისა, იგეგმება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიაგნოსტიკური შეფასება, ყველა საგნობრივი მიმართულებით - ყოველივე ეს სკოლას მისცემს შესაძლებლობას შემდგომში გადადგმული ნაბიჯები უფრო კონკრეტული და მიზნობრივი იყოს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით აპირებს შეფასების გამოყენებით დაადგინოს დაგეგმილი აქტივობების შედეგად მიღწეული შედეგი, რომლის შეფასებაც განხორციელდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და პრიორიტეტად განსაზღვრავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებებთან მიმართებით. სკოლას გააზრებული აქვს შეფასებისას გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორები: დრო და სივრცე, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება და სხვა, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს შედეგზე. კათედრის წევრებმა შეხვედრისას დაადასტურეს შეფასების სხვადასხვა მექანიზმების განხილვა და დანერგვა კათედრებზე , სწავლა სწავლების პროცესში გამოყენებულ დიფერენცირებულ მიდგომები, შეფასებისას გათვალისწინებული სხვადასხვა ფაქტორები.
*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მომავალი სასწავლო წლის შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- კათედრების ოქმები
- დამრიგებლების ანგარიშები
- ინტერვიუს შედეგები
- შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში" აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას წამოჩნდა,რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მიმდინარე სასწავლო წელს, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შეიტანენ აუცილებელ ცვლილებებს კურიკულუმში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება. ჩანს სკოლის ხედვა , როგორ ,რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება.  მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით და სამომავლოდაც გაითვალისწინებენ განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და  მიგნებებს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ
- თვითშეფასების განაცხადი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## საბაზო საფეხური

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კერძოდ, რა მექანიზმებით, საშუალებებით იგებენ მოსწავლეების, მშობლების , მასწავლებლების,თემის ინტერესებს -თანამშრომლობით, კითხვარებით,სოციალური ქსელით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას,რამაც განაპირობა სასკოლო საზოგადოების შეთანხმებული მუშაობა. მასწავლებლები ერთობლივად ქმნიდნენ კურიკულუმს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავდნენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობდნენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის დასანერგად, მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები განხორციელდება მატრიცებში გაწერილი აქტივობების გამოყენებით, ასევე მათ მიერ მოხდება დაკვირვება, ჩანაწერების დღიურისა და თვითშეფასების წარმოება, როგორც გაკვეთილების შემდეგ, ასევე, თემის დამთავრების შემდეგ. მასწავლებელი გარდა იმისა, რომ ჩაატარებს გაკვეთილებს, კოლეგებსა და მშობლებს გაუზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ასევე, სასწავლო თემაზე მუშაობისას, მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და კომპლექსური დავალებების ბარათების შესახებ. სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები, მოაზრებულია კონცეპტუალურ ჩარჩოსა და დიზაინზე მუშაობა, გაწერილია მასწავლებლის, კათედრების, სკოლის დირექციის, ფუნქციები. აღწერილია კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის, გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები.ამის საფუძველზე მტკიცდება,რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით. მასწავლებლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები , მაგალითად, საბაზო საფეხურზე განსახორციელებელ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები,რომლებშიც იკითხება მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა,რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. სკოლა ნათლად იაზრებს მოსწავლეთა და მშობლების ჩართულობის მნიშვნელობას, ეს კი, ვლინდება იმით რომ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში სამივე საფეხურზე ასახულია მათი ინტერესები. სკოლა წინასწარ აცნობს მშობლებსა და მასწავლებლებს კურიკულუმის დოკუმენტს. შეხვედრები იმართება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ რეჟიმში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეები შეჯერებულია მოსწავლეებთან, სადაც გათვალისწინებულია მათი წინარე ცოდნა, მზაობა და ინტერესები. ე.ი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 .კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გამოიკვეთა შემდეგი სახით: ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია თუ დამხმარე პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან. თითოეული საგნობრივი მიმართულება ერთმანეთს უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, ამა თუ იმ აქტივობის, დავალების, რესურსის, მეთოდის, სტრატეგიის ეფექტიანობის შესახებ, რაც შემდგომ აისახება 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში. მომავალში სკოლა გეგმავს ამ პროცესებში მშობლების უფრო აქტიურად ჩართვას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. კურიკულუმი რომ გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: მშობელთათვის განკუთვნილი ბარათები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს,როგორ ურთიერთობენ მშობლებთან სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში,უგზავნიან საპროექტო იდეებს, დავალებებს,ღონისძიებების გეგმებს, აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმის შესახებ.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კომპლექსური დავალების ბარათების საშუალებით უზიარებენ მშობლებს ინფორმაციას თუ რას, როგორ და რატომ ისწავლიან მოსწავლეები აღნიშნულ საგნებში,თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ საზოგადოების წევრებს დამრიგებლები აწვდიდნენ მშობელთა კრებებზე, განიხილავდნენ პედაგოგიურ სხდომებზე. დამატებით 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ, შეიქმნას ისეთი სივრცე, სადაც განთავსდება ყველა დოკუმენტი და ყველას ექნება მათი ნახვისა და გაცნობის შესაძლებლობა, ასეთ სივრცედ სკოლის დირექცია მოიაზრებს „onedrive“-ის ონლაინ პლატფორმას. ეს გამოიკვეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ჩატარებული სასკოლო ფესტივალების დროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კომპლექსური დავალების იდეა შეიძლება იყოს შიდა სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია ან მსგავსი აქტივობები,რაც ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მშობლის ბარათები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასება;
- მშობელთა კრების ოქმები.

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის საბაზო საფეხურიზე კათედრებმა წარმოადგინეს მე_7-9 კლასის კურიკულუმები ყველა საგანში, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალებები; კათედრებს ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება,განსაზღვრულია თემები, ცნებები/ქვეცნებები, ტექსტები და რესურსები, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მოწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისებურებებს, შესაძლებლობებს და ამაზე დაყრდნობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით.ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა კარგად ჩამოაყალიბეს სამომავლო ხედვებიც. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**თუმცა,ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მიეცათ რჩევა,სასურველია,VIII კლასში მუსიკის კურიკულუმში პირველი თემის „ხილული და უხილავი" ფარგლებში ამ ეტაპზე დატოვონ ერთი (შესაძლებელია შეიქმნას ორი ან სამი საკითხის კლასტერი და ამ საკითხთა კლასტერის ფარგლებში განხორციელდეს ერთი კომპლექსური დავალება) ან ორი კომპლექსური დავალება, რადგან მერვე კლასში მუსიკაში პირველ სემესტრში საათების რაოდენობა არის კვირაში 1 საათი, ვერ მოესწრება ოთხი კომპლექსური დავალების სრულყოფილად განხორციელება, IX კლასის მუსიკის კურიკულუმში პირველი თემის „მითი და რეალობა მუსიკაში" ფარგლებში ამ ეტაპზე დატოვოთ ორი ან სამი კომპლექსური დავალება,შესაბამისად ორი ან სამი საკითხი,რადგან მეცხრე კლასში მუსიკაში პირველ სემესტრში საათების რაოდენობა არის კვირაში 2 საათი, ვერ მოესწრება მითითებული ოთხი კომპლექსური დავალების სრულყოფილად განხორციელება, ასევე ეს საკითხები გაწეროთ ცალ-ცალკე დამოუკიდებელ საკითხებად, რადგან საკითხების შინაარსიდან გამომდინარე ვერ შედგება აღნიშნულ საკითხთა კლასტერი.**

უცხოურ ენებში საბაზო საფეხურზე მასწავლებლები, ინტერვიუს დროს, ადასტურებენ მოსწავლეებზე ორიენტირებულ სწავლების მიდგომებს. პედაგოგები ხდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სურვილებს, ინტერესებს და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ხან ინდივიდუალურად, ხან ჯგუფურად მუშაობენ მათთან დამატებით. ეს, მათი მხრიდან არის დიდი თანადგომა და მხარდაჭერა მოხალისეობის ფარგლებში.

თუმცა **მათემატიკაში,** არ აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება,რაც იქნებოდა აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. მე-8 კლასებში გაწერილია მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალების იდეა,ხოლო მე-9-ში ორი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ჯერ კიდევ სამუშაო ვარიანტია, რომელიც შემდეგ შეივსება სრულყოფილად. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ როგორ მოარგონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და დააკავშირონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებსაც სკოლა განიხილავს, როგორც შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. გარდა ამისა სკოლას გაწერილი აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები (ის.გ-ს შექმნის ბრძანება, სამოქმედო გეგმა,მონიტორინგის დასკვნა, სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა) კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კომპლექსური დავალებების რაოდენობის გაზრდას, რაც განაპირობებს მოსწავლეთა კიდევ უფრო აქტიერ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

**მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა,რომ სრულად შეავსონ მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩო. შესთავაზონ მოსწავლეებს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, ვინაიდან სკოლა შუალედური მიზნის მისაღწევად მოიაზრებს კომპლექსურ დავალებებს, თითოეულ კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთონ ერთი სრულყოფილი (სასურველია უფრო მეტიც), ეტაპებად გაწერილი კომპლექსური დავალება შესაბამისი შეფასების რუბრიკით.**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი და მასში აღწერილი თემები, სამიზნე ცნებები თუ მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური დავალებების იდეები მოიცავს სამიზნე ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების სრულყოფილად დამუშავებას თემის გარშემო. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობრივი ნაწილია. პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილია პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. ამიტომ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს ყოველთვის უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება.

ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოიაზრებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მცირერიცხოვანი კლასებიდან გამომდინარე საბაზო საფეხურის მოსწავლეებში,პედაგოგები ცდილობენ მათი საჭიროებიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაგეგმონ სწავლა-სწავლების პროცესი. სკოლის დოკუმენტაციაში, აგრეთვე, ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ საბაზო საფეხურის კლასებისთვის აგენერირებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა თუ ინდივიდუალური პროფილები. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლას შეუძლია უზრუნველყოს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების განხორციელება,აქვთ ისგ-ს ჯგუფის შექმნის გამოცდილება და შესაბამისი კადრები,პროფესიონალი და ენერგიული სპეცმასწავლებელი.ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ.

მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს, **ამიტომ, მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა,სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი,ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ,ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა,სასწავლო წლის განმავლობაში დამატებით შექმნიან მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით-კათედრის,დამრიგებლების,მასწავლებლის თვითშეფასების, შეიძლება ვთქვათ,რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.წინა სასწავლო წელს სასკოლო სივრცეში აქტიურად არ იყო დანერგილი კომპლექსური ხასიათის დავალებებით სწავლების ფორმატი, მაგრამ სკოლაში დასაქმებული არიან პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ხედვა, სწორედ ამიტომ მათი ინდივიდუალური დაკვირვების შედეგებია გათვალისწინებული კურიკულუმების ჩამოყალიბებისას, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზისა და მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების გათვალისწინებით შევიდა ცვლილებები 2023-2024 სასწავლო წლისთვის ჩამოყალიბებულ კურიკულუმებში, რაც წარმოდგენილია მტკიცებულებების სახითაც.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება ბრძანება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თვითშეფასება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები სიღრმისეულად, კურიკულუმები განვითარებადია და სასწავლო წლის ბოლომდე მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება ინტეგრირებული გაკვეთილების, პრეზენტაციებისა და აქტივობების დაგეგმვა. ამისი ნათელი მაგალითია სკოლის მიერ,უცხოურ ენებში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი ოკუპაციის თემაზე, ასევე განხორციელებული პრეზენტაციები საყვარელი ცნობილი ადამიანის შესახებ, მოსწავლეები აქტიურად ადასტურებენ უცხოური ენების ცოდნის კომპეტენციას, სკოლაში სხვადასხვა მისიის წევრების სტუმრობის დროს ხდება მათი მხრიდან ამის დადასტურება.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების დროს მასწავლებლები საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე აღინიშნა მოსწავლეების მაღალ ჩართულობა სასკოლო პროექტებში და ღონისძიებებში, რაც აღძრავს შინაგან მოტივაციას ეხმარება მათ შეძლონ გამოწვევების მიღება და ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუნდების სიგელებს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს მოსწავლის მოტივაციაზე და ის აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებს ახლავს დანართი თემატური მატრიცების/გეგმების სახით, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებებით,სკოლის მიერ შეგროვებული მონაცემების (შემაჯამებელი დავალებების,გაკვეთილების) აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ,კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. მასწავლებლები დიაგნოსტიკური შინაარსის ტესტების საფუძველზე ცდილობენ მოახდინონ სასწავლო პროცესის დაგეგმვა.
თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მათემატიკის მასწავლებლებთან ერთად განხილული იქნა ერთი კომპლექსური დავალება „ხის სიმაღლის გაზომვა“ , მასწავლებლებმა აღწერეს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღინიშნა, რომ ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, შესასვლელი ბარათები, მარტივი „ქვიზი“, კითხვა-პასუხი. წარმოდგენილ საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმშიც თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად მარტივიდან რთულისკენ, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. კურიკულუმში საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები,რომელთა განხორციელება-გასიტყვების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს. ამ ეტაპზე მათემატიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია მხოლოდ სამი კომპლექსური დავალების იდეა, რაც მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის. კათედრამ ასევე ვერ წარმოადგინა ინდიკატორის შესაბამისად უკვე დანერგილი პრაქტიკის ამსახველი მტკიცებულებები. თუმცა გასაუბრებისას გამოიხატა,რომ კათედრა გამოხატავს მზაობას მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა, როგორც შუალედური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ გზად.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა .

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილია ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები, აქტივობები, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში,ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დროს შექმნილი პროდუქტები: ფიზიკაში-მოსწავლეების მიერ შექმნილი „შუქნიშანი“ არდუინოს გამოყენებით, პარალელური და მიმდევრობითი შეერთებით შექმნილი ნათურები, საჭმლის მომნელებელი სისტემის მოდელი,მათემატიკაში_მე-9 კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება STEM-თან ინტეგრირებით, რომელიც ეხება კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობას და ა.შ.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- თემატური მატრიცები/გეგმები;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საეტაპო აქტივობები;
- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- თვითშეფასება.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში სრულად გაწერილია თემები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს,სამიზნე ცნებებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესი უკვე მიმდინარეობს კომპლექსური დავალების პირობის გააზრებით, საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტით,რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მაგალითად, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის,უცხოური ენის კურიკულუმებში კათედრებს გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც, კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრებს აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. საბაზო საფეხურის მათემატიკის კურილულუმიც მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისადაა შედგენილი. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს: მონაცემთა თანაფარდობის წარმოდგენა სხვადასხვა გზებით_ კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობა (სტემთან ინტეგრირებით), ხის სიმაღლის გაზომვა... ამ პროცესში მოსწავლეს მოუწევს ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს მათი ხედვის შესახებ, როგორ დააკავშირებენ სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. ასე,რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკაში მოსწავლეებს კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოუწევთ რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში დაეხმარებათ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემა და საკითხი, კომპლექსური დავალებების იდეები მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებისკენ. შესასწავლი თემები მჭიდრო კავშირშია მოსწავლეებისთვის ნაცნობ და აქტუალურ თემებთან/მოვლენებთან, რომელთა შესწავლისას მათ ჩამოუყალიბდებათ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა გარემოზე ზრუნვა, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა და ა.შ. ექსპერიმენტებისა და კვლევების ჩატარებისას მოსწავლეები ივითარებენ თანამშრომლობით უნარებს, რაც თავისთავად აისახება მათ პიროვნულ განვითარებაზე. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს,რომ საკლასო აქტივობები და დავალებები ისეა დაგეგმილი და ორგანიზებული, ხელი შეუწყოს და გაზარდოს მოსწავლეთა შორის ურთიერთნდობა, ურთიერთდახმარება, მხარდაჭერა და ურთიერთგაზიარება, რაც ეხმარება განსხვავებულობის მიღებაში, პატივისცემაზე დაფუძნებული ცოდნისა და უნარების ათვისებაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული იქნებიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, მონაწილეობას მიიღებენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სამუშაო პროცესი სკოლაში პოზიტიურ გარემოში მიმდინარეობს. მოსწავლე თავს თვლის აღიარებულად და დაფასებულად. სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური განმავითარებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა,რომ მიმდინარე სასწავლო წელს შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის რუბრიკები მრავალფეროვანია, არსებობს კათედრებს შორის კონსულტირების პრაქტიკა, თუმცა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდამჭერი შეფასების რუბრიკების სიმცირეა.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მიეცათ რჩევა , სკოლამ მასწავლებელთა პროფესიული გავითარების მიზნით დაგეგმოს და ჩაატაროს შეფასების სისტემის საკითხებთან მიმართებაში ტრეინინგი.**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლას საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის,მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. კათედრა მზადაა,რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა.

განხორციელებული კომპლექსური შინაარსის დავალებების თუ სხვადასხვა აქტივობების დასრულების შემდეგ , მასწავლებლები აქტიურად ახდენენ როგორც თვითშეფასებებს ასევე, ურთიერთშეფასებებსაც. სკოლაში ფუნქციონირებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რაც ხელს უწყობს შფასების სისტემის ობიექტურობასა და ვალიდურობას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა,რომ მასწავლებლებმა იციან, რა მექანიზმებით ხდება შეფასება და როგორ გამოიყენოს მისი შედეგები. მიაჩნიათ, რომ თუ მოსწავლეს არ შეუძლია მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. ფიქრობენ, ეს გასათვალისწინებელია მომავალი სასწავლო წლისთვის და საგნობრივი კათედრები დახვეწენ შეფასების რუბრიკებს სტანდარტის შესაბამისად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებთ. დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს და უფრო სრულყოფილ სურათს მოგვცემს, არსებული მიღწევებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

**უცხოური ენების მიმართულებით მიეცათ რჩევა, რომ კარგი იქნება, სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლეთა თვითრეფლექსიისა თუ ურთიერთშეფასების რუბრიკებიც, რაც ხელს შეუწყობს სასწ. პროცესის მეტად განვითარებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შეფასების სისტემა არსებული მდგომარეობით დამაკმაყოფილებელია. სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმი,2023-24 სასწავლო წელს სკოლა აამუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც დაარეგულირებს: შეფასების განმახორციელებელ რგოლს, შერჩევის პრინციპებს, ვერიფიკაციის პროცესის აღწერას, შედეგებს, შედეგების ასახვას და სამოქმედო გეგმას, კათედრაზე რუბრიკების შემუშავება. ამ მიმართულებით კათედრის წევრები აქტიურად მუშაობა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.
*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

6. ავტორიზაციის განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, ინფორმაციის შეგროვებასა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას უზრუნველვყოფთ კანონდებლობით დადგენილი წესით, მაგალითად, ჟურნალები მატერიალური სახით ინახება 5 წლის განმავლობაში, აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასება;
- საეტაპო აქტივობები;
- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- თვითშეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმებიდან და თემატური გეგმებიდან ჩანს, რომ სკოლაში განხორციელებული აქტივობები გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას. პედაგოგებთან გასაუბრებისას და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. როგორც აღნიშნეს სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო,მოსწავლე თავს გრძნობს თვითრეალიზებულად. სკოლის მისია და ხედვა არის ორიენტირებული მოსწავლეზე, სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. ბუნებრივია მოსწავლეებს ასეთ გარემოში თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღონ შესაბამისი დახმარება . სკოლის მიერ მოწოდებული ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებით და ისგ ჯგუფის ოქმებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს აღნიშნული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას, სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-2024 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. სპორტში მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც,წარმატებული მოსწავლის მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება. სხვადასხვა ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. აქვთ მაღალი მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან, აქედან გამომდინარე, შესაბამისად ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეებს განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. ყურადღება ექცევა სწავლის მიდგომის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, როგორიცაა არჩევანი, ინიციატივების მხარდაჭერა, არჩევითი დავალებების შეთავაზება. მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესი, ისგ გუნდის ჩამოყალიბების შესახებ ბრძანება, მონიტორინგის დასკვნა, ჩანს როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შედგენა. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ თითოეული მოსწავლის აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების კვლევას (ანკეტირება-გამოკითხვის საშუალებით) და შედეგების გათვალისწინებით სასწავლო პროცესების დაგეგმვას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.კათედრის წევრები რომ მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში,კათედრის სხდომის თუ სამუშაო შეხვედრის ოქმებში. კათედრებზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს, ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე,ერთობლივად ქმნიან რესურსებს, გეგმავენ სასკოლო ღონისძიებებს, ექსკურსიებსა და ლაშქრობებს, სკოლაში მოქმედებს „ კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ასევე სკოლის 2023-2024 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას გაზრდას, დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებლები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და აძლიერებას. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლები ინდივიდუალურად ან საგნობრივი კათედრების თანამშრომლობით ერთად გეგმავენ და აანალიზებენ იმ პროცესებს, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. კულტურას.
სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-2024 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შევსებას სხვადასხვა რესურსებით და ზოგადად მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას, დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ რომ მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მეტწილად უზრუნველყოფილი იქნება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***
დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ისგ ჯგუფის ოქმი;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება ბრძანება;

შეფასება:

*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**
1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ამ ეტაპზე სკოლაში არის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება პროფესიულ განვითარებაში. რუბრიკაში წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე ხორციელდება მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გაირკვა,რომ კათედრები სამომავლოდ ,მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელებს შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს დირექციასთან ინტენსიური თანამშრომლობით, შედეგებს ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **თუმცა,რჩევაა მათემატიკის მიმართულებით - სკოლამ დასახული მიზნების მისაღწევად პროგრესის თვალყურის დევნებისთვის შეიმუშაოს მონიტორინგის ერთიანი სისტემა, განსაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები. ინდიკატორები უნდა ზომავდეს, როგორც პროცესს, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგებს. ცალკეული განსახორციელებელი აქტივობისთვის განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები და გაწეროს დროში.**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას და ამისთვის პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას(შეფასება მოხდება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ), ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული (ინსტრუქციით) ნიმუშებიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვასკვნით, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.სკოლას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები,მაგ., ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციონირების დოკუმენტი, რომელშიც ასახულია, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განსაზღვროს სწავლის პროცესების მიმდინარეობა დაგეგმილი კურიკულუმების ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების მიზნობრიობა სასურველ შედეგთან მიმართებით.მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით ,რათა დაადგინოს გამოწვევები და ადეკვატურად უპასუხოს მათ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლაში იციან, რომ მონიტორინგის მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც სკოლის თითოეულ წევრს ეხმარება ადეკვატური/ობიექტური შეფასებაში. ამგვარად შესაძლებელი ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება და სკოლამ შეუფერხებლად გააგრძელოს სასწავლო პროცესი.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება და გაცემული უკუკავშირი;
- ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები;
- პედსაბჭოს ოქმი;
- კომპლექსური დავალებები.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ აპირებს სკოლა, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სკოლას SWOT ანალიზის საფუძველზე განხილულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. სკოლამ თვითშეფასებაში აღნიშნა და ინტერვიუს დროსაც დაადასტურა, რომ შეფასების პროცესში ეყრდნობიან მოსწავლის არა მარტო საკლასო სივრცეში გამოვლენილ ცოდნასა და უნარებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. აღნიშნულის შესახებ ცნობებს ღებულობენ მშობელთა კრებებიდან, კონკრეტულ ინდივიდუალურ საკითხებზე შეხვედრებისას.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება შეფასების რუბრიკების გამოყენებით. სამომავლოდ კი იგეგმება აღნიშნული რუბრიკების უკეთ მორგება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგების ინდიკატორებზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწნეს, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას და ამისთვის პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას (შეფასება მოხდება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ), ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული (ინსტრუქციით).

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში იკვეთება და მასწავლებლებმაც ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს ,რომ იკვლევენ მოსწავლეთა ინტერესებს დაკვირვებით, გასაუბრებით და ითვალისწინებენ სწავლების პროცესში. სკოლის თვითშეფასებიდანაც ირკვევა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მონაცემების შეგროვებისას სკოლა დაეყრდნობა ტიპურ და გამოყენებად მეთოდებს: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება. გარდა ამისა, იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, ყველა საგნობრივი მიმართულებით - ყოველივე ეს სკოლას მისცემს შესაძლებლობას შემდგომში გადადგმული ნაბიჯები უფრო კონკრეტული და მიზნობრივი იყოს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ,მაგ.სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით,თვითშეფასების ჩანაწერებით, თემატური გეგმებით,შეფასებისრუბრიკებით.მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით,სხვადასხვა ხე-დვის კუთხით. შეფასებისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეზე ზემოქმედების არაერთ ფაქტორს.შეფასების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქო - ემოციური თავისებურებები. სკოლა შეფასების დროს ასევე ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მზაობას ინტერესებს, საჭიროებებს,მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი). სსსმ მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის ხარისხი.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კათედრების ოქმები;
- დამრიგებლების ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.

შეფასება:

*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.წარმოდგენილი სახით კურიკულუმი სკოლამ პირველად შექმნა, შესაბამისად, სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია, რომ 2024-2025 სასწავლო წელს გათვალისწინებული იქნება 2023-2024 სასწავლო წლის გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტაციაში დეტალურად აღწერილია თუ რის მიხედვით მოხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება სარეკომედაციო საჭიროებათა პაკეტი, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა აღნიშნულ ინდიკატორს აკმაყოფილებს.სკოლაში შემუშავებული აქვთ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ სკოლაში პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები. ამ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით იკრიბებიან კათედრაზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რის შემდეგაც შექმნიან კურიკულუმის მხარდამჭერ სარეკომენდაციო პაკეტს და გაითვალისწინებენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას და სასწავლო პროცესს დაგეგმავენ სასკოლო საზოგადოების ინტერესების მიხედვით.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას, მასწავლებლები ითვალისწინებენ, როგორც თავის გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებლების მიერ მიღებულ გამოცდილებას. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაანალიზება, თუ რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას მეტნაკლებად გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. შესაბამისად, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა, არამედ კათედრისა და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა, ვინც მონაწილეობა მიიღო კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთი და იგივე კომპლექსური დავალებების დანერგვას, დანერგვის პროცესის შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტები წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში.მომავალი სასწავლო წლის ბოლოს აპირებენ კურიკულუმის გადასინჯვას და რევიზიას, რის მიხედვითაც დაგეგმავენ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებულ აქტივობებს. მონიტორინგის და შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი.
*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## საშუალო საფეხური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2023-2024 სასწ. წლის დაწყების შემდეგ, სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების დონე, განიხილება საგნობრივი სტანდარტები კლასების მიხედვით, საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან

გამომდინარე განისაზღვრება თემები და კომპლექსური დავალებების რაოდენობა, შემუშავდა კურიკულუმის ჩარჩო, სადაც საგნის მასწავლებლები ითვალისწინებენ პროდუქტს, რა უნდა შექმნან მოსწავლეებმა, სამიზნე ცნებებს, საკითხებს, ქვესაკითხებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებსა და შესაბამის აქტივობებს, აქვე გათვლილია რესურსები. მოსწავლეები ეცნობიან კურიკულუმიდან მასწავლებლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების ბარათებს და მუშაობენ საბოლოო პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია სკოლას გაწერილი აქვს კათედრის სხდომის ოქმშიც. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას,რამაც განაპირობა სასკოლო საზოგადოების შეთანხმებული მუშაობა. მასწავლებლები ერთობლივად ქმნიდნენ კურიკულუმს,გეგმავდნენ კომპლექსურ დავალებებს,მუშაობდნენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის დასანერგად მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები განხორციელდება მატრიცებში გაწერილი აქტივობების გამოყენებით, ასევე მათ მიერ მოხდება დაკვირვება, ჩანაწერების დღიურისა და თვითშეფასების წარმოება, როგორც გაკვეთილების შემდეგ, ასევე, თემის დამთავრების შემდეგ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც, როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, მასწავლებლები საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. სკოლა წინასწარ აცნობს მშობლებსა და მასწავლებლებს კურიკულუმის დოკუმენტს. შეხვედრები იმართება როგორც პირისპირ ასევე ონლაინ რეჟიმში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეები შეჯერებულია მოსწავლეებთან, სადაც გათვალისწინებულია მათი წინარე ცოდნა, მზაობა და ინტერესები. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საშუალო საფეხურზე კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, ამასთანავე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. პროცესში ჩართულია დირექცია. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. გასაუბრებისას ცალკეულმა პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი მსჯელობენ, რომელი თემის ფარგლებში შეძლეს შუალედურ მიზნად კომპლექსური დავალების შესრულება, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა ის თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელ უწყობს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის სრულყოფილად ჩამოყალიბებას. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მონაცემების შეგროვების ანალიზის საფუძველზე, მოხდა კურიკულუმების მოდიფიცირება და კომპლექსური დავალებების ჩაშენება თემების ირგვლივ.გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები.

კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გამოიკვეთა შემდეგი სახით: ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია თუ დამხმარე პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან. თითოეული საგნობრივი მიმართულება ერთმანეთს უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, ამა თუ იმ აქტივობის, დავალების, რესურსის, მეთოდის, სტრატეგიის ეფექტიანობის შესახებ, რაც შემდგომ აისახება 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში.მათემატიკის ექსპერტი აღნიშნავს_ ამ პროცესებში მშობლები ნაკლებად მონაწილეობენ, თუმცა გასაუბრებისას გაირკვა,რომ მომავალში სკოლა გეგმავს მათთან აქტიურ კომუნიკაციას პირისპირ შეხვედრების, გამოკითხვა/ანკეტირების ფორმით, შესაბამისი უკუკავშირის მისაღებად.
ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლები კი აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან. აქვთ ხშირი შეხება მშობლებთან და ითვალისწინებენ მათ ინტერესებსაც. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებებლებს ასევე აქვთ სხვა კათედრის წარმომადგენლებთან კომუნიკაციაც. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვების სურვილს და ინტერესებს, რაც დიდ გავლენას ახდენს კომპლექსური დავალების თემების შერჩევისას

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭვდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. სკოლის სასკოლო--სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სპორტში ჩატარებული სასკოლო ფესტივალების დროს ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც,ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას ორგანიზებასა და განხორციელებაში. კომპლექსური დავალების იდეა შეიძლება იყოს შიდა სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია ან მსგავსი აქტივობები, ინტერიუს დროსაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.
თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ საზოგადოების წევრებს დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მშობელთა კრებებზე, განიხილავდნენ პედაგოგიურ სხდომებზე. დამატებით 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ, შეიქმნას ისეთი სივრცე, სადაც განთავსდება ყველა დოკუმენტი და ყველას ექნება მათი ნახვისა და გაცნობის შესაძლებლობა, ასეთ სივრცედ სკოლის დირექცია მოიაზრებს „onedrive“-ის ონლაინ პლატფორმას.
***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მშობლის ბარათები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის საშუალო საფეხურის კათედრებმა წარმოადგინეს კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალებები; კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მე-11 კლასის კურიკულუმები სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნა იგივე მეთოდოლოგიით. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა კარგად ჩამოაყალიბეს სამომავლო ხედვები, კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები ჩაშალეს დეტალურად და წარმოადგინეს როგორც მოსწავლის განვითარების გზა.

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) ისწავლება მხოლოდ პროექტული სწავლებით და პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმი არ არის გათვალისწინებული, თუმცა სკოლის გადაწყვეტილებით პროექტული სწავლების მომავალი წლის კურიკულუმი სახვით ხელოვნებაში (X კლასში სახვით ხელოვნებაში იქნება პროექტულის სწავლება) გაიწერა, კურიკულუმში გაწერილი შუალედური (თემები, საკითხები) და გრძელვადიანი (სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე; ინგლისურ ენაში , მეათე კლასში სამი თემის ფარგლებში , პედაგოგს დაგეგმილი აქვს სამი კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალების იდეები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და სურვილებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სწავლა სწავლების პროცესი, ამ საფეხურზე მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიური მხარდაჭერის პროცესს

მათემატიკის კათედრაზე, საშუალო საფეხურზე, წარმოდგენილია მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა, თუმცა არ აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, რაც იქნებოდა აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. გაწერილია მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალების იდეა მე-12 კლასში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ჯერ კიდევ სამუშაო ვარიანტია, რომელიც დაიხვეწება, გასწორდება და შეივსება სრულყოფილად. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოარგონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და დააკავშირონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის აგების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებსაც სკოლა განიხილავს, როგორც შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის.

**ამიტომ მათემატიკის მიმართულებით მეცათ რჩევა, გაიწეროს სრულად საფეხურზე მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩო. შესთავაზეთ მოსწავლეებს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. ვინაიდან სკოლა შუალედური მიზნის მისაღწევად მოიაზრებს კომპლექსურ დავალებებს, თითოეულ კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთეთ ერთი მაინც(სასურველია უფრო მეტიც) ეტაპებად გაწერილი კომპლექსური დავალება შესაბამისი შეფასების რუბრიკით.**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სკოლას საშუალო საფეხურის მე-10 და მე-11 კლასებისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობრივი ნაწილია, ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. ამიტომ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება.

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა(მუსიკა, ხელოვნება) ისწავლება მხოლოდ პროექტული სწავლებით და პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმი არ არის გათვალისწინებული, თუმცა სკოლის გადაწყვეტილებით პროექტული სწავლების მომავალი წლის კურიკულუმი სახვით ხელოვნებაში (X კლასში სახვით ხელოვნებაში იქნება პროექტულის სწავლება) გაიწერა, კურიკულუმში გაწერილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შუალედური (თემები, საკითხები) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, ამიტომ ვასკვნით, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს; უცხოურ ენებში სკოლას საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი აქვს ის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. ინგლისურ ენაში, ჩარჩო დოკუმენტში სამი თემის გარშემო დაგეგმილია სამი კომპლექსური დავალების განხორციელება, რაზეც მუშაობა მისცემს მოსწავლეებს საშუალებას შეიძინონ ის უნარ-ჩვევევები რაც აუცილებელია უცხოურიენების სწავლების პროცესში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსურ დავალებებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში სწორად არის შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებები, რაც აძლევს მასწავლებლებს შესაძლებლობას ესგ-ით გათვალისწინებულ ყველა თემაში დაფაროს ყველა სამიზნე ცნება.
საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერის შესაბამისად. გაწერილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, მეტნაკლებად გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტმაგალითები და სასწავლო რესურსები. შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსური დავალებების შერჩევა, რომლის შესრულება შეიცავს განსხვავებულ ხედვებსა და მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებას და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, რაც მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.კათედრის წევრებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც განხორციელებული, ასევე მომავალში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულება, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, საკლუბო სამუშაოების მიზნობრივად დაგეგმვა უზრუნველყოფს მოსწავლე ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა. გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ საშუალო საფეხურის კლასებისთვის აგენერირებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა თუ ინდივიდუალური პროფილები. ასევე, სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლას შეუძლია უზრუნველყოს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებას. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ.

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით.ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ისგ მონიტორინგის ჯგუფი,გაწერილია სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია დასკვნები. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან, სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, თითოეული მასწავლებელი დაკვირვების შედეგად გამოკვეთს მათ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და ამის მიხედვით სთავაზობს სხვადასხვა სახის რესურსსა თუ აქტივობას, მაგალითად, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საჭირო გახდა კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე აქტივობის დიფერენცირება, მოსწავლის სწავლის პოტენციალის გათვალისწინებით.
მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა რამდენიმე კომპლექსური დავალებიდან აირჩიონ ერთ-ერთი და სასურველი ფორმატით წარმოადგინონ პროდუქტი.სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში,მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი.
სკოლა გამოხატავს მზაობას 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში მეტად გაითვალისწინონ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რათა სწავლა-სწავლების პროცესებში ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული.

**თუმცა მათემატიკის მიმართულებით მიეცათ რჩევა, მნიშვნელოვანია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.**
სასურველია გაიწეროს დიაგნოსტიკური შეფასების სისტემა, რომლის ფუნქცია იქნება მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის დინამიკის პროცესის აღწერა რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების დახვეწას სასწავლო პროცესში.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი ,ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა ,სასწავლო წლის განმავლობაში დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სპორტის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ისაუბრა შეფასების სისტემასა და მის მნიშვნელობაზე. მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ მოსწავლეების განვითარებას, რაც საბოლოოდ თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა ასაკის შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით- კათედრის,დამრიგებლების,მასწავლებლის თვითშეფასების, შეიძლება ვთქვათ,რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.წინა სასწავლო წელს სასკოლო სივრცეში აქტიურად არ იყო დანერგილი კომპლექსური ხასიათის დავალებებით სწავლების ფორმატი, მაგრამ სკოლაში დასაქმებული არიან პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ხედვა, სწორედ ამიტომ მათი ინდივიდუალური დაკვირვების შედეგებია გათვალისწინებული კურიკულუმების ჩამოყალიბებისას, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზისა და მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების გათვალისწინებით შევიდა ცვლილებები 2023-2024 სასწავლო წლისთვის ჩამოყალიბებულ კურიკულუმებში, რაც წარმოდგენილია მტკიცებულებების სახითაც.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ისგ ჯგუფის ოქმი
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ინტერვიუ
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურზე პედაგოგები, გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართონ სწავლა სწავლება. რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და განსახორციელებლი პროექტები, მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით და ასევე შეიძნოს პროექტის წარმართვის გამოცდილება. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ასევე კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით,სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის სახვითი ხელოვნების (X კლასში სახვით ხელოვნებაში იქნება პროექტულის სწავლება) პროექტული სწავლების კურიკულუმში გაწერილი შუალედური(თემები, საკითხები) და გრძელვადიანი (სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და დამატებით მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობით.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს რაც, კარგად ჩანს კომპლექსური დავალების შინაარსში. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თეამტური ბლოკები, თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის სახვითი ხელოვნების (X კლასში სახვით ხელოვნებაში იქნება პროექტულის სწავლება) პროექტული სწავლების კურიკულუმში გაწერილი შუალედური (თემები, საკითხები) და გრძელვადიანი (სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და დამატებით მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკის მასწავლებლებმა ისაუბრეს მე-12 კლასში დაგეგმილ კომპლექსური დავალების შესახებ, რომელიც უკავშირდება კვლევას: საგზაო შემთხვევის შემდეგ შესაძლებელია დავადგინოთ გადააჭარბა თუ არა მანქანამ დასაშვებ სიჩქარეს? მასწავლებლებმა აღწერეს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღინიშნა, რომ ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, შესასვლელი ბარათები, მარტივი „ქვიზი“, კითხვა-პასუხი.
წარმოდგენილ საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად , თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიც კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ,კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების შემუშავებაზე. კომპლექსური დავალებებით მუშაობის მიმართულება და პროექტული სწავლება უკვე განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პრინციპს, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ გამოცდილებასა და ცხოვრებასთან. შეიძინონ კვლევითი უნარები. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრების წევრებთან გასუბრების **შედეგად. ბუნებისმეტყველების მეცნიერებებში, მიეცათ რჩევა, რომ სასურველია მოსწავლეებმა კვლევითი სამუშაოების და ექსპერიმენტების ჩატარების დროს აწარმოონ ცდის ოქმები და დაკვირვების დღიურები. ასევე სასურველია იმუშაონ კვლევის ანგარიშის შევსებაზე.**
მათემატიკის კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებების დაგეგმვა-განხორციელებით ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განხორციელებას. მიაჩნიათ, რომ კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს მოუწევთ მსჯელობა იმაზე, თუ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რა ცოდნა აქვთ და რისი შესწავლა დასჭირდებათ, როგორ დაეხმარება ესა თუ ის აქტივობა პროდუქტის მოსამზადებლად, რაც მათ სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, ასევე შექმნილი პროდუქტების პრეზენტაციისას მოსწავლეები აღწერენ განვლილ გზას, იმსჯელებენ იმაზე, თუ რომელი აქტივობა დაეხმარა ყველაზე მეტად, რომელი იყო ნაკლებად შედეგიანი და ა.შ. ეს ერთგვარად უვითარებს მოსწავლეს რეფლექსიურ უნარებს. კათედრა გეგმავს მოსწავლეთა თვითრეფლექსიის ფორმების შემუშავება- ჩამოყალიბებას.

ამ ეტაპზე კურიკულუმში გაწერილია მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალების იდეა, რაც მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის. მათემატიკის კათედრამ ასევე ვერ წარმოადგინა ინდიკატორის შესაბამისად უკვე დანერგილი პრაქტიკის ამსახველი მტკიცებულებები. თუმცა კათედრა გამოხატავს მზაობას მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა, როგორც შუალედური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ გზად.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა.გარდა ამისა, სკოლაში საშუალო საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს,რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ,ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე , მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის სახვითი ხელოვნების (X კლასში სახვით ხელოვნებაში იქნება პროექტული სწავლება) პროექტული სწავლების კურიკულუმში გაწერილი შუალედური (თემები, საკითხები) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და დამატებით მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭირდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ანვითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილია ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები, აქტივობები, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში,ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კურიკულუმებში და კომპლექსურ დავალებებში შერჩეული თემატიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ მასწავლებლებმა შეარჩიეს ისეთი საკითხები, რომლების მოსწავლის მხრიდან მოითხოვს ცოდნის ორგანიზებას. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება შექმნან ბუკლეტები,სხვადასხვა მოდელები, ჩაატარონ მარტივი ექსპერიმენტები და კვლევები, ასეთი აქტივობებით შეძლონ მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის სახვითი ხელოვნების (X კლასში სახვით ხელოვნებაში იქნება პროექტულის სწავლება) პროექტული სწავლების კურიკულუმში გაწერილი შუალედური(თემები, საკითხები) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და დამატებით მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ საწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთირთდაკავშირება.

თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში ხშირად კეთდება აქცენტები სხვადასხვა საგნებში მიღებულ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე, მაგრამ ძირითადად, ეს მსჯელობით ხასიათს ატარებს. სკოლა გამოთქვამს მზაობას საფეხურზე მეტად დანერგოს კომპლექსური ბუნების დავალებებით და პროექტებით სწავლება, რომლის დროსაც მოსწავლეს მოუწევს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ინფორმაცია, რომელსაც ფლობს, სხვადასხვა საგანში შესწავლილი საკითხები გააერთიანოს, ერთმანეთს დაუკავშიროს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- კურიკულუმი
- თემატური მატრიცები/გეგმები;
- შეფასებების რუბრიკები;
- ინტერვიუ;
- საეტაპო აქტივობები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში, თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმი მოცემულია მხოლოდ კონტექსტ-მაგალითები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული კურიკულუმი საჭიროებს დეტალურ დამუშავებას და გამოთქვეს მზაობა, რომ ეტაპობრივად ყველა სამიზნე ცნება და საკითხები გაწერილი იქნება თემების მიხედვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც, კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს მათი ხედვის შესახებ, როგორ დააკავშირებენ სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოუწევთ რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში დაეხმარებათ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს,რომ საკლასო აქტივობები და დავალებები ისეა დაგეგმილი და ორგანიზებული, ხელი შეუწყოს და გაზარდოს მოსწავლეთა შორის ურთიერთნდობა, ურთიერთდახმარება, მხარდაჭერა და ურთიერთგაზიარება, რაც ეხმარება განსხვავებულობის მიღებაში, პატივისცემაზე დაფუძნებული ცოდნისა და უნარების ათვისებაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული იქნებიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, მონაწილეობას მიიღებენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.
ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება. ისინი დავალებების შერჩევისას ითვალისწინებენ, რომ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა, განუვითარდეს ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები. კომპლექსური დავალების კითხვები ისე ფორმირდება, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა. აქცენტირება გაკეთდება მოსწავლეთა მიერ კომპლექსური დავალებების რეფლექსიაზე. თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სოციალურ პროექტებში ,რაც მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება, ეს კი ხელს შეუწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ. ეს ყველაფერი კომპლექსურ დავალებებშია გაწერილი, მითითებულია მასალების ჰიპერლინკებიც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით კათედრების იაზრებენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. ეს ნათელი გახდა ინტერვიუს დროს. ასევე იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. შეისწავლიან მოსწავლეთა დინამიკას, აკეთებენ ანალიზს. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვთ შესაბამისი ინსტრუმენტი.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სკოლას საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა, ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის,მათ იციან რაში ფასდებიან თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. კათედრა მზადაა,რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.კათედრასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური უნარების განვითარებას. მასწავლებელთა განმარტებით შეფასების სისტემის ვალიდურობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. იგეგმება მოსწავლეთა ჩართულობა რუბრიკების შემუშავებაში, რაც გაზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთშეფასება. გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით როგორც მოსწავლეების ასევე მათი მშობლებისთვის.
გასაუბრების დროს გამოიკვეთა,რომ მასწავლებლებმა იციან, რა მექანიზმებით ხდება შეფასება და როგორ გამოიყენოს მისი შედეგები. მიაჩნიათ, რომ თუ მოსწავლეს არ შეუძლია მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. ფიქრობენ, ეს გასათვალისწინებელია მომავალი სასწავლო წლისთვის და საგნობრივი კათედრები დახვეწენ შეფასების რუბრიკებს სტანდარტის შესაბამისად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებთ. დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს, რაც კათედრის აზრით, უფრო სრულ სურათს მოგვცემს, არსებული მიღწევებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.შეფასების სისტემის შედეგიანობას სკოლა ამოწმებს სკოლის ბაზაზე არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის საშუალებით, რომელიც აფასებს, სასწავლო პროცესები რამდენად მიზნობრივია და რამდენად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევაზე. ამ სასწავლო წლისთვის სკოლამ ჩამოაყალიბა ვერიფიკაციის მექანიზმები და წარმოადგინა დოკუმენტის სახით.სკოლაში არ არის სპორტში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ცალკე დოკუმენტად, მაგრამ განიხილება, შიდა სასკოლო ფესტივალებზე, პრეზენტაციებზე და შემაჯამებელი აქტივობების შედეგების ანალიზი. შეფასება ხდება იმ სამიზნე ცნებებზე დაკვირვებით, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემლი. ასევე გათვალისწინებულია ქვეცნებები, ქვესაკითხები. ანალიზი კეთდება თუ როგორია პროგრესი და ამ ყველაფერზე დაკვირვებით, ჩანიშვნით ვიღებთ ეფექტურ შეფასების სისტემას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით სკოლა კანონმდებლობის ფარგლებში დადგენილი წესით გადმოსცემს ბრძანებებს, აწარმოებენ ელექტრონული ჟურნალს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ხდება განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი ვადით.
*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები,
- შეფასების რუბრიკები
- თვითშეფასება
- საეტაპო აქტივობები
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ინტერვიუ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის ჯგუფის დებულება
- სასკოლო-სასწავლო გეგმა

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები მხარს უჭერენ ერთმანეთისა თუ მოსწავლეების ინიციატივებს. სკოლის პედაგოგები და დირექცია თანამშრომლობენ მშობლებთან, მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმი ისეა შემუშავებული, რომ ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ფორმირებას, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმილია სასწავლო პროცესი. სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებასა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, მოახდინოს იდეების გენერირება და თავად გახდეს საკუთარი ცოდნის ამგები.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ,.სასკოლო - სასწავლო გეგმაში, უწერია, რომ სკოლის მისიაა მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.ასევე, წარმოდგენილი აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს .მასწავლებლის თვითშეფასების ფორმაც წარმოაჩენს ამ პროცესს. გარდა ამისა,ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.სკოლას აქვს მზაობა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.საშუალო საფეხურის კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეზე ორიენტირებულად. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სასკოლო თუ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. საშუალო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა პროდუქტს შესასრულებლად, აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ხელს უწყობენ მოსწავლეებში თვითრეფლექსიისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. საშუალო საფეხურის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შემდეგი სასწავლო წლისათვის ისინი აპირებენ დიაგნოსტიკური შეფასების გამოყენებას, რათა სასწავლო პროცესი მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს მოსწავლეზე ორინეტირებულობას. შემაჯამებლებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით ახდენენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს იმისათვის, რომ შემდგომი სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მაქსიმალურად მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებულად.

ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ,სასწავლო პროცესში არის თანამშრომლობით კულტურა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. გასაუბრების პროცესში ნათლად ჩანს თანამშრომლობითი კულტურა და ურთიერთდახმარება.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები (სამუშაო შეხვედრები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, სისტემატიური თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის, რესურსების ერთობლივად შექმნა, სასკოლო ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების დაგეგმვა), იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და ამის შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ქმნიან კურიკულუმს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების მხარდაჭერას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწავლა-სწავლების პროცესში. მშობლებთან თანამშრომლობა გამოიხატება მშობელთა კრებებზე თანამშრომლობით.მიეწოდებათ ინფორმაცია საკუთარი შვილების მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ, მათთან შეთანხმებით იგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებები თუმცა სკოლას მიაჩნია, რომ: მშობელთა ჩართულობა არ არის საშუალო საფეხურის ძლიერი მხარე, ამიტომ იგეგმება მათთან აქტიური თანამშრომლობა, მშობელთა კმაყოფილების, სურვილების, სასწავლო პროცესებში ჩართვის გზების კვლევა და ამის მიხედვით სამომავლო გეგმის შემუშავება.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სასკოლო საზოგადოების წევრები უზრუნველყოფენ პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. საშუალო საფეხურის სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია მოსწავლეზე ორინტირებულად და ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, იქნება ეს კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა თუ სხვა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მოსწავლეების მშობლებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე ცდილობენ პოზიტიური კლიმატის შექმნას, როგორც კლასის ისე სკოლის დონეზე. სასკოლო საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს მის თითოეულ წევრს და ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი ინტერესების გამოვლენასა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვანთ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებლები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და აღლიერებას. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლები ინდივიდუალურად ან საგნობრივი კათედრების თანამშრომლობით ერთად გეგმავენ და აანალიზებენ იმ პროცესებს, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას,რომელიც ამ სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყველაზე მნიშვნელოვანია.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული ფესტივალების ორგანიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმი;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა,რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა_ანალიზი. ამ ეტაპზე სკოლაში არის ხარი სხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება პროფესიულ განვითარებაში. რუბრიკაში წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე ხორციელდება მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გაირკვა,რომ კათედრა სამომავლოდ ,მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელებს შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს დირექციასთან ინტენსიური თანამშრომლობით ,შედეგებს ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, ე.წ. ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმართულია მასწავლებელთა პროფესიული წინსვლის ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით იგეგმება გაკვეთილებზე მიზნობრივი დაკვირვება, რაც მასწავლებლებთან შეთანხმებით ხორციელდება და გამომდინარეობს მასწავლებლის თვითშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებისგან. მხარდამჭერი ჯგუფი ორიენტირებულია განმავითარებელი შეფასების გამოყენებაზე, რათა გაცემული წერილობითი უკუკავშირი ზუსტად ასახავდეს გაკვეთილის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, რაც ჩაშენებულია სსგ-ში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი პრინციპები.

**რჩევა -სასურველია სკოლამ დასახული მიზნების მისაღწევად პროგრესის თვალყურის დევნებისთვის. მონიტორინგის ერთიანი სისტემის სრულყოფის მიზნით, განსაზღვროს ინდიკატორები. ინდიკატორები უნდა ზომავდეს, როგორც პროცესს, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგებს. ცალკეული განსახორციელებელი აქტივობისთვის განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები და გაწეროს დროში**

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას და ამისთვის პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას(შეფასება მოხდება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ), ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვასკვნით, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.სკოლას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები,მაგ., ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციონირების დოკუმენტი, რომელშიც ასახულია, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განსაზღვროს სწავლის პროცესების მიმდინარეობა დაგეგმილი კურიკულუმების ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების მიზნობრიობა სასურველ შედეგთან მიმართებით (შეფასება). ეს მაფიქრებინებს ,რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა -ანალიზზე დაფუძნებით ,რათა დაადგინოს გამოწვევები და ადეკვატურად უპასუხოს მათ.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმი
- კომპლექსური დავალებები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტაცია
- ინტერვიუ
- პედსაბჭოს ოქმი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციათა დელეგირების საფუძველზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ აპირებს სკოლა, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. სტატეგიული განვითარების გეგმაში, სკოლას SWOT ანალიზის საფუძველზე განხილულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები.
სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. სკოლამ თვითშეფასებაში აღნიშნა და ინტერვიუს დროსაც დაადასტურა, რომ შეფასების პროცესში ეყრდნობიან მოსწავლის არა მარტო საკლასო სივრცეში გამოვლენილ ცოდნასა და უნარებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. აღნიშნულის შესახებ ცნობებს ღებულობენ მშობელთა კრებებიდან, კონკრეტულ ინდივიდუალურ საკითხებზე შეხვედრებისას, თუმცა ამსახველი დოკუმენტური მტკიცებულება მათემატიკის კათედრას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია.

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ეს სპორტში გამოხატულია როგორც რიცხვებით წარმოებული სტატისტიკით, ისე თვალით დანახული ტექნიკური მახასიათებლების ხარისხის განსაზღვრთ, ასევე ბავშებზე დაკვირვებით, რათა განვსაზღვროთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების შესაბამისობა, კერძოდ დავაკვირდეთ მოსწავლის ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარს, მათი ჰიგიენური ნორმების დაცვას და ა.შ. ინტერვიუში იკვეთება ეს მიდგომა მასწავლებლების მხრიდან.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.სკოლა შეფასებას ახდენს როგორც ჰოლისტური ასევე ანალიტიკური შეფასების რუბრიკების მიხედვით. კომპლექსური დავალებების შემთხვევაში კი სოლო ტაქსონომიის მიხედვით. განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებები მიემართება სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქნილი პრობლემების გადაჭრის გზებისკენ.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით: შეფასება მოიცავს, როგორც საგნობრივ კომპეტენციას, ასევე ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, ისტ-ის ინტეგრირებას საგაკვეთილო პროცესში აღინიშნა,რომ სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, თუ როგორია მათი შესაძლებლობები, უნარები, შემოქმედებითობა, სასწავლო პროცესში ჩართულობა, პასუხისმგებლობა, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი კულტურა, რომლებიც განაპირობებს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტურობას. მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასება ძირითადად გამოიყენება იმ მიზნით, რომ მოსწავლე განვითარდეს, გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე, დაინახოს, როგორ ისწავლოს და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. შემაჯამებელი დავალების შეფასებას აწარმოებენ თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ. კათედრა გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებებს, მშობლებთან უფრო ინტენსიურ და აქტიურ კომუნიკაციას, მათ ჩართვას სხვადასხვა აქტივობაში, მიაჩნიათ, რომ ეს მისცემს შესაძლებლობას მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ყოველი კონტექსტი ობიექტური შეფასების პროცესში.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები შეფასებას ახორციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ესენია ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგი, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რაზეც დაკვირვება შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვება/დამუშავების მექანიზმს. აქვს წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა მეთოდით,სკოლა დაეყრდნობა ტიპურ და გამოყენებად მეთოდებს: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება. გარდა ამისა, იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, ყველა საგნობრივი მიმართულებით - ყოველივე ეს სკოლას მისცემს შესაძლებლობას შემდგომში გადადგმული ნაბიჯები უფრო კონკრეტული და მიზნობრივი იყოს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი). სსსმ მოსწავლეები შეფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის ხარისხი. ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს შეფასების დროს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც. იმისათვის, რომ შეფასება იყოს ობიექტური აუცილებელია გავითვალისწინოთ ზემოთ ხსენებული ფაქტორები, რასაც იაზრებენ მასწავლებელები.

***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, საგნობრივი კათედრები ეტაპობრივად ახდენს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზიასა და ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში" აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება. ჩანს სკოლის ხედვა, როგორ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით,მათ აღნიშნეს,რომ მიმდინარე წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახეს მოსწავლეთა შედეგები და სამომავლოდაც გაითვალისწინებენ განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს.

*ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ
- კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................

27 ოქტომბერი, 2023 წელი
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: